

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაზი გრიშვილი



ქართულ ბაზარზე არსებული ჯანმრთელობისთვის საშიში
სათამაშოების კვლევა

მარკეტინგის კათედრა

ნაშრომი წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკონ. აკად. დოქტორი,
თსუ-ს ასოცირებული პროფესორი ჩარიტა ჯაში

თბილისი

2019

ანოტაცია

თემის აქტუალობა: სამაგისტრო ნაშრომში განხილულია საბავშვო სათამაშოების ინდუსტრია და აღნიშნული თემის ირგვლივ არსებული ვითარება საქართველოში. დღესდღეისობით, ქვეყანაში არ არსებობს სათანადო ინფორმაცია ბავშვთა სათამაშოების იმპორტის შესახებ. სახელმწიფო სტრუქტურები და არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია არ ახორციელებენ სპეციალურ მონიტორინგს ამ მიმართულებით. საქართველოში სათამაშოს უსაფრთხოების შემოწმება არსებული კანონმდებლობით არ რეგულირდება.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევის მიზანს წარმოადგენს საბავშვო სათამაშოების ბაზარზე განვითარებული სიტუაციის ანალიზი და არსებული ვითარების შეფასება. საქართველოში სურსათ-პროდუქტების მიმართულებით თუ არსებობს სხვადასხვა ნორმატიული აქტები, სათამაშოებთან დაკავშირებით მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. ამიტომ კვლევის საგანია მომხმარებელთა დამოკიდებულების განსაზღვრა საბავშვო სათამაშოების მიმართ, მათი ინფორმირებულობის დონის დადგენა ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სათამაშოების შესახებ.

წინამდებარე კვლევის ამოცანებს წარმოადგენს:

- საბავშვო სათამაშოების ინდუსტრიაში არსებული რეალობის შესწავლა;
- ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო სათამაშოების შესახებ მიმდინარე დირექტივებისა და ნორმატიული აქტების განსაზღვრა ;
- ქართულ ბაზარზე არსებული საფრთხის შემცველ სათამაშოებზე გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა;
- მომხმარებელთა აღქმისა და დამოკიდებულების შესწავლა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს კომერციული სათამაშოების უსაფრთხოება და მასში არსებული მავნე ნივთიერებების აღმოჩენასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესწავლა. კვლევის ობიექტია საბავშვო სათამაშოების მომხმარებლები და მათი აღქმა სათამაშოებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

კვლევის მეთოდოლოგია: სათამაშოებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციისთვის კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდი. გამოკითხვა ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული ანკეტის საფუძველზე და გამოიკითხა 200 რესპოდენტი.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება: ანოტაციის, შესავლის, სამი თავის, დასკვნისა და რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის სიისა და დანართისაგან.

Annotation

Topicality of the topic: Master's work deals with the children's toy industry and the current situation in Georgia. Nowadays, there is no information on the type of toys coming into the market in our country. Neither state structures nor any other organization do not carry out research and laboratory inspection because the safety of toy safety is not regulated by the existing legislation.

Objectives and Objectives of the Research: The goal of the research is to analyze the situation in the children's toy market and assess the current situation. There are different normative acts in food products in Georgia, there is no similar practice regarding toys. That's why researching the customer's dependence on children's toys is to determine their level of awareness about healthy toys for health.

The objectives of this research are:

- Study the reality in the children's toy industry;
- Drawing of directives and normative acts on healthy toys for health;
- Study information spread on toys containing threats on the Georgian market;
- Analyze customers perception and attitude regarding usage of children`s toys.

The Subject and Object of Research: The subject of research is the safety of commercial toys and the study of events related to the detection of harmful substances in it. The object of research is children's toy users and their perceptions of toys related to toys.

Research Methodology: The quantitative method has been used in the study of identification of toys related problems. The survey was conducted based on a specially created presentation and interviewed 200 respondents.

Structure of the work. The work consists of: annotation, introduction, three chapters, conclusions and recommendations, from the list and annexed literature.

სარჩევი

შესავალი-----	5
თავი 1. სათამაშოების ინდუსტრიის მიმოხილვა და არსებული ვითარება-----	6
1.1.სათამაშოები და მათი უსაფრთხოება-----	6
1.2.სათამაშოების მრეწველობა-სტატისტიკა და ფაქტები-----	7
1.3.პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა და სათამაშოებზე CE ნიშანდების რეგულირება ევროკავშირში-----	10
1.4.საბავშვო სათამაშოების დირექტივის დიფუზია საქართველოში-----	13
1.5.პლასტმასის სათამაშოების მწვავე პრობლემა ევროპაში,უსაფრთხოების ტესტირება და რისკების შეფასება-----	16
1.6.სათამაშოების კლასიფიკაცია და სამომხმარებლო თვისებები-----	19
1.7.LEGO-ს პროდუქციის წარმოების პოზიტიური მხარე-----	20
თავი 2. უსაფრთხო მოხმარების პრობლემები ქართულ ბაზარზე-----	22
2.1.სათამაშოების ბაზარზე არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა-----	22
2.2. საბავშვო სათამაშოებში არსებული მავნე ნივთიერებებით ინტოქსიკაცია, მისი მასშტაბები და გავრცელების არეალი-----	22
2.3.ტყვიით ინტოქსიკაციის მწვავე პრობლემა-----	28
2.4.მეორადი სათამაშოების ბიზნესი საქართველოში-----	29
2.5.საინფორმაციო კამპანია_“უსაფრთხო სათამაშო“-----	30
2.6 კომპიუტერული თამაშების გავლენა ბავშვთა განვითარებაზე-----	33
თავი 3. საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა-----	36
3.1. კვლევის მეთოდოლოგია-----	36
3.2.კვლევის შედეგები-----	39
დასკვნები და რეკომენდაციები-----	66
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა-----	70
დანართი-----	72

შესავალი

სათამაშოების უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია და აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, განსაკუთრებით მაშინ თუ ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. დღეს, მსოფლიოში საკმაოდ აქტუალურია უსაფრთხო პროდუქციის წარმოების საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების დადგენა.

სათამაშოების უსაფრთხოების სტანდარტები მუდმივად განახლებადი და ცვალებადია, რაც განპირობებულია რისკების ზრდითა და ახალი პროდუქციის განვითარებით. სწორედ ამიტომ, მწარმოებლები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ისეთი საზოგადოებრივი ინტერესის სრული დაცვა, როგორცაა: ჯანრთელობა, უსაფრთხოება, მომხმარებელთა და გარემოს დაცვა.

ევროპაში სათამაშოები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს (არსებითია, რომ სათამაშო იყოს უსაფრთხო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ევროპული სტანდარტის EN71- სთვის), რათა მათ შეასრულონ CE ნიშნები. ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფიც რეგულარულად აქვეყნებს სახელმძღვანელოების დიდ დოკუმენტებს სათამაშოების უსაფრთხოებაზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარების მიუხედავად განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ მწვავედ დგას მავნე ნივთიერებების შემცველი პროდუქტების რეალიზაციის საკითხი.

საბავშვო სათამაშოების შექმნა დაკავშირებულია სასიამოვნო აქტივობასთან, თუმცა შესაძლოა მწვავე პრობლემების გამომწვევი აღმოჩნდეს იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი არ ითვალისწინებს უსაფრთხოების მაჩვენებლებს. მსგავსი პრობლემები განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც, საქართველოში, სადაც არ არსებობს კანონი, რომელიც დაარეგულირებს სათამაშოების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იმისთვის, რომ დადგინდეს ერთი კონკრეტული სათამაშო რამდენად უსაფრთხოა, ბევრი ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებაა საჭირო, რასაც ჩვენს ქვეყანაში არსებული სახელმწიფო სტრუქტურები და ვერც სხვა რომელიმე ორგანიზაცია ვერ ახორციელებს. სწორედ ამიტომ არსებული საფრთხეების თავიდან აცილებისთვის აუცილებელია, ქვეყანაში ნებისმიერ ნივთიერებასთან მიმართებით იყოს განსაზღვრული ნორმები და შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების ჩატარებას და მიღებული შედეგების საფუძველზე რეგულაციების შემუშავებას.

თავი 1. სათამაშოების ბაზრის მიმოხილვა მსოფლიოში და არსებული ვითარება

1.1 სათამაშოები და მათი მოხმარების უსაფრთხოება

სათამაშოების უსაფრთხოება მნიშვნელოვანი საკითხია და აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს, განსაკუთრებით მაშინ თუ ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. კომერციულ სათამაშოს რეალზაციაში ნებისმიერ ქვეყანაში უნდა შეეძლოს უსაფრთხოების ტესტის გავლა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, აუცილებელია სათამაშოები აკმაყოფილებდეს ეროვნულ სტანდარტებს. იმ ქვეყნებში კი, სადაც არსებობს სტანდარტები, არსებობს საფრთხის თავიდან აცილების გზებიც.¹ ("Toy Safety Factsheet", Accessed 8 January 2007)

ევროპაში სათამაშოები უნდა აკმაყოფილებდეს ევროკომისიის სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს (არსებითია, რომ სათამაშო იყოს უსაფრთხო, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ევროპული სტანდარტის EN71-სთვის), რათა მათ შეასრულონ CE ნიშნები. ევროკავშირის ყველა წევრმა სახელმწიფომ ეს დირექტივა კანონიერად გადალახა - მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სათამაშოების უსაფრთხოების რეგლამენტი შედგა 1995 წელს. ("The Toy (Safety) Regulations 1995". Accessed 7 January 2006)

კანადაში ჯანდაცვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია პროდუქტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, ისევე, როგორც სამომხმარებლო პროდუქტის უსაფრთხოების კომისია (CPSC)² ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სათამაშოების უსაფრთხოების სტანდარტები (ევროპული სათამაშოების უსაფრთხოების სტანდარტის სავარაუდო მოდელიდან) მიღებულია ISO-ის მიერ საერთაშორისო სტანდარტის ISO 8124 სტანდარტების შესაბამისად.

სათამაშოების უსაფრთხოების სტანდარტები მუდმივად განახლებადი და ცვალებადია, რაც განპირობებულია რისკების ზრდითა და ახალი პროდუქციის განვითარებით.

აშშ-ში 2008 წლის აგვისტოში მომხმარებელთა პროდუქციის უსაფრთხოების გაუმჯობესების აქტი (CPSIA-Consumer Product Safety improvement Act) დამტკიცდა. ზოგიერთი დამკვირვებელი მიიჩნევს, რომ ეს ახალი კანონი აწესებს ყველაზე რთულ სტანდარტს მსოფლიოში. CPSIA ზღუდავს ტყვიის და ფთალატთა რაოდენობას, რომელიც

¹ The Royal Society for the Prevention of Accidents, March 2001. ("The Toy (Safety) Regulations 1995". Accessed 7 January 2006);

² CPSC-Consumer Product Safety Commission-სამომხმარებლო პროდუქტის უსაფრთხოების კომისია ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფო სააგენტოა, რომელიც დაარსდა 1972 წელს.

შეიძლება შეიცავდეს ბავშვთა პროდუქტებში და იღებს ASTM (American Society of Testing and Materials) სამომხმარებლო უსაფრთხოების სპეციფიკის მოთხოვნებს, სათამაშოების უსაფრთხოებისთვის, (ASTM F963-11), როგორც CPSC-ს მოთხოვნებს ("Bush signs bill banning lead from children's toys; toughest standard in the world". Associated Press. 14 August 2008. Retrieved 15 August 2008).

2012 წელს, ამერიკაში, მინესოტას შტატში დამტკიცდა კანონი, რომელიც მწარმოებელს ავალდებულებდა არ გამოეყენებინა ისეთი ქიმიური ნივთიერებების შემცველობის საბავშვო პროდუქტები, როგორებიცაა: ბისფენოლ A, ფორმალდეჰიდი, ტყვია და კადნიუმი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ეტიკეტზე ზოგჯერ მინიჭებულია CPSC-ის(Consumer Product Safety Commission) ნიშანი, რომელიც მიანიშნებს იმ სათამაშოებზე, რომლებიც შეიძლება სამ წლამდე ასაკის ბავშვისთვის საშიშ საფრთხეს წარმოადგენდეს. სათამაშო შეიძლება იყოს ერთი ასაკის ბავშვთათვის შესაფერისი და რეკომენდებული, და ასევე შესაძლოა არსებობდეს უსაფრთხოების რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ქვედა ასაკობრივ ჯგუფთან, რაც ქმნის სავალდებულო გაფრთხილების აუცილებლობას. ზოგიერთი უბედური შემთხვევა ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვილები თამაშობენ მოზრდილი ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოებით (Toy Safety Regulations - BERR).

1.2 სათამაშოების წარმოება - სტატისტიკა და ფაქტები

გლობალური სათამაშოების ინდუსტრია არის მილიარდ დოლარიანი ინდუსტრია, რომელიც დომინირებს ხუთ ძირითად მოთამაშედ: Mattel, Namco Bandai, Lego, Hasbro და Jakks Pacific (მათგან სამი ამერიკული კომპანიაა). ჩრდილოეთ ამერიკა ამ კომპანიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი და მნიშვნელოვანი რეგიონალური ბაზარია.

ცხრილი 1. საბავშვო სათამაშოების მწარმოებელი ტოპ-5 კომპანია:

რიგითობა	ჩინეთი	ევროპა	ამერიკა	მსოფლიო
1	Guangdong Alpha Animation	Mattel Inc	Mattel Inc	Mattel Inc
2	Toyroyal Co Ltd	Lego Group	Hasbro Inc	Hasbro Inc
3	Lepo Toys Ltd	Hasbro Inc	Lego Group	Lego Group
4	Mattel Inc	Private Label	Spin Master Ltd	Bandai Namco Group
5	Shanghai Yaoji Playing cards	Simba-dickie Group	Hallmark Cards Inc	Jacks Pacific


წყარო: Euromonitor.

სათამაშო ინდუსტრიის ყოველწლიური ეკონომიკური გავლენა აშშ-ში 80.26 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო 287 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი დაკავშირებულია ამერიკულ სათამაშო ინდუსტრიასთან.

აშშ-ში მარტო სათამაშოებისა და სათამაშოების ბაზრის საცალო გაყიდვები 2015 წლისთვის 22 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენდა. 2016 წლის მონაცემებით, დანიური კომპანია Lego, რომელიც ცნობილია ურთიერთ-დაკავშირებული პლასტიკური აგურებით, იკავებდა სათამაშოების ბაზრის ლიდერის პოზიციას (5.49 მილიარდი აშშ დოლარი). აშშ-ის სათამაშოების მწარმოებელი კომპანია Mattel-ი, თანმიმდევრულად მიჰყვა ლეგო-ს, დაახლოებით 5.46 მილიარდი აშშ დოლარიანი შემოსავლით. ტოკიოში დაფუძნებული Namco Bandai კი მესამე ადგილზეა შემოსავლების თვალსაზრისით;

აშშ მსოფლიო მასშტაბით, სათამაშო მრეწველობის წამყვანი იმპორტიორია. 2015 წელს, ქვეყანაში იმპორტირებული სათამაშოები, თოჯინები და სპორტული რეკვიზიტები დაახლოებით 31 მილიარდი აშშ დოლარს შეადგენდა.

ცხრილი 2. თამაშებისა და სათამაშოების გაყიდვების დინამიკა (მლნ €):



Source: Euromonitor estimates and projections. Note: Values for the EU are based on Euromonitor data and own calculations

2005 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, 15 წლის ასაკის 20 ბავშვი გარდაიცვალა სათამაშოებთან დაკავშირებული ინციდენტების გამო და დაახლოებით 202-300 მცირეწლოვანი ბავშვი მკურნალობდა საავადმყოფოს საგანგებო ოთახებში სათამაშოებისგან მიღებული დაზიანებების გამო.

ავსტრალიის, დანიის, საბერძნეთის, ნიდერლანდისა და შვედეთის მეცნიერებმა შეისწავლეს მონაცემები 0-4 წლის ასაკში მიღებული დაზიანებების შესახებ და აღმოჩნდა, რომ რამდენიმე პროდუქტის კატეგორიაში მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის ასაკი მისგან მიღებულ დაზიანებებთან. ასაკის გამაფრთხილებელი სიმბოლოს დახმარებით,

(ევროპული სტანდარტი: EN 71-6) მწარმოებლები მომხმარებლებს აწვდიან ინფორმაციას ბავშვის ასაკთან დაკავშირებით რომელთათვისაც განკუთვნილია კონკრეტული სათამაშო.

ევროპის მასშტაბით, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყოვლისმომცველი კანონმდებლობა წარმოადგენს ევროკავშირის (ევროკავშირის) დირექტივას (საბჭოს დირექტივა 88/378 / EEC). ეს დირექტივა არის სათამაშოების მოთხოვნების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს და გაითვალისწინონ ევროკავშირის თითოეული წევრი ქვეყნის კანონმდებლობაში მათი სათამაშოების უსაფრთხოების დებულებით.

ევროკავშირში სათამაშოების კლასიფიკაციის ოფიციალურ მითითებებს ევროკავშირის კომისია ადგენს. სადაც პროდუქცია არ არის კლასიფიცირებული, როგორც სათამაშოები, ისინი კვლავ რეგულირდება გენერალური პროდუქტის უსაფრთხოების დირექტივით. სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივა ითვალისწინებს ფიზიკური და მექანიკური თვისებებს, ქიმიურს და ელექტრული თვისებების შესახებ ევროკავშირის სტანდარტების ჰარმონიზაციას, მაგრამ დირექტივების გარკვეული უსაფრთხოების ასპექტები არ არის დაცული უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად.

ასევე მნიშვნელოვანია ჰიგიენა და რადიოაქტიურობა. სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივა (შემდგომში წევრი სახელმწიფო რეგლამენტი) ასევე ითხოვს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს, სადაც უნდა იქნეს გამოყენებული. ეს ინტერპრეტაციული მუხლი არსებობს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ახალი და ინოვაციური სათამაშოების ბაზარზე განთავსებამდე მოხდეს მათი ინდეტიფიცირება. იმ შემთხვევაში, თუ სათამაშოში აღმოჩენილია სახიფათო ნივთიერება მაშინ მწარმოებელს (მწარმოებელმა, ან ევროკავშირის იმპორტიორი პროდუქტის ერთეულში პირველი იმპორტიორს) დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი.

ქვეყანა	მომხმარება (მლნ. ევრო)	პროდუქცია (მლნ.ევრო)	დასაქმებულთა რაოდენობა
ევროკავშირი	15,828.40	5,833.61	50,902
სხვა			
აშშ	13,971.70	4,382.33	35,037
ჩინეთი	4,802.80	16,011.30	128,012
იაპონია	5,201.10	2,200.08	17,590

წყარო:ევროსტატი, ევრომონიტორი, Ecorys³-ის ანგარიში

³ Ecorys_ევროპის ერთ-ერთი წარმატებული კვლევითი და საკონსულტაციო კომპანიაა, რომლის ისტორია იწყება 1929 წლიდან.

ევროკავშირის სათამაშოების ინდუსტრია დაახლოებით 5.8 მილიარდ ევროს შეადგენს და მათი უსაფრთხოება რეგულირდება ევრო-დირექტივებით (TSD -Toy Safety Directive, 2009/48 / EC).

TSD ავალდებულებს მწარმოებლებს, იმპორტიორებსა და მომწოდებლებს უზრუნველყონ პროდუქციის მექანიკური, ფიზიკური და ქიმიური უსაფრთხოება.

უსაფრთხოების მოთხოვნები ხშირად მოიცავს ადგილობრივი ტესტირების აუცილებლობას, რომელიც ქმნის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო ბარიერებს ევროკავშირის სათამაშო ინდუსტრიისთვის.

ბაზარზე განთავსებამდე აუცილებელია ნებისმიერმა პროდუქციამ გაიაროს შეფასების პროცედურა, ხოლო მწარმოებლები ვალდებული არიან წარადგინონ შესაბამისობის დეკლარაცია, რის საფუძველზეც დაადასტურებენ TSD-ის პასუხისმგებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება ჩინეთის სათამაშო ინდუსტრიას, რეგულირდება 2007 წლის დასაწყისიდან და გულისხმობს სავალდებულო სერტიფიცირების სისტემის გაფართოებას სათამაშოების პროდუქტებზე. წესები მოითხოვს მწარმოებლებისგან, მიმართონ ჩინეთის სავალდებულო სერტიფიკაციის (CCC) ორგანოს: ქვეყნის სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის ადმინისტრაციისთვის (CNCA). აღნიშნული ღონისძიება ამცირებს მზარდ საერთაშორისო ზეწოლას გარემოს დაცვაზე, ასევე განავითარებს ქვეყნის სათამაშოების საექსპორტო ბაზარს.⁴ (People's Daily Online - Toy industry gets improved regulation).

1.3 პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა და სათამაშოებზე CE ნიშანდების რეგულირება ევროკავშირში

პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა 2001/95/EC:

- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური პირები ან შექმნან კომპეტენტური ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებთან შესაბამისობას. მათ უნდა მიენიჭოთ სათანადო ძალაუფლება, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც ამ დირექტივით არის განსაზღვრული.
- წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი ორგანოები-ს ამოცანები. მათ ზომები უნდა მიიღონ ნებისმიერ პროდუქტზე, რომელიც შესაძლოა, ადამიანს საფრთხეს უქმნიდეს; გონივრულ ვადაში მისცენ გაფრთხილება რისკის არსებობის შესახებ.

⁴People's Daily Online - Toy industry gets improved regulation). <http://en.people.cn/n3/2019/0513/c90000-9577358.html>

- ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში: უნდა აიკრძალოს მისი რეკლამა და დაადგინონ წესები აკრძალვის უზრუნველსაყოფად.
- ნებისმიერი საშიში პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე ბაზარზეა: [შესაბამისმა ორგანომ] უნდა მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გატანა და აცნობოს მომხმარებელს არსებული რისკის შესახებ. მწარმოებელსა და დისტრიბუტორთან ერთად გაუწიოს კოორდინაცია ან, თუ საჭიროა, მოახდინოს მყიდველისგან საშიში პროდუქტის უკან გამოთხოვისა და შესაბამის პირობებში განადგურების ორგანიზება“-ამის შესახებ ნათქვამია პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად დირექტივაში, რომლის გათვალისწინებაც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით აკისრია.

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა-2009/48/EC სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ძალაში შევიდა 2009 წლის 20 ივლისს. (Directives 2009/48/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the safety of toys).⁵

აღნიშნული დირექტივა ამკაცრებს მოთხოვნებს წარმოებისა და მიწოდების დონეზე. წევრი ქვეყნების კანონმდებლობაში დირექტივის იმპლემენტაცია 2011 წელს განხორციელდა. შესაბამისად, 2011 წლიდან ის გავრცელდა ევროპის ბაზარზე განთავსებულ სათამაშოებზე, თუმცა, ქიმიური ნივთიერებების მოთხოვნებთან შესაბამისობის ვალდებულება, გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით, 2013 წლით იყო განსაზღვრული. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივა განსაზღვრავს ერთი მხრივ, სათამაშოების უსაფრთხოებისა და მეორე მხრივ, ევროკავშირში მათი თავისუფალი გადაადგილების/წარმოების წესებს. შესაბამისად, დირექტივას ორი მთავარი მიზანი აქვს: ერთი, უზრუნველყოს, რომ სათამაშოები, რომელსაც ბავშვები გამოიყენებენ, იყოს უსაფრთხო, და მეორე, გარანტირებული გახადოს სათამაშოების შიდა ბაზრის შეუფერხებელი ფუნქციონირება. აღნიშნული დირექტივის მიხედვით, სათამაშოები, რომლებიც განთავსდება ევროკავშირის ბაზარზე, უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირში დადგენილ კანონმდებლობის მოთხოვნებს.⁶ (Council Directive of 3 May 1988 on the approximation of the laws of the Member States concerning the safety of toys(88/378/EEC).

მწარმოებლები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ისეთი საზოგადოებრივი ინტერესის სრული დაცვა, როგორცაა: ჯანრთელობა, უსაფრთხოება, მომხმარებელთა და გარემოს დაცვა და ევროკავშირის ბაზარზე იმოქმედონ კეთილსინდისიერი კონკურენციის ფარგლებში.

⁵ Directives 2009/48/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the safety of toys. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:170:0001:0037:en:PDF>;

⁶ Council Directive of 3 May 1988 on the approximation of the laws of the Member States concerning the safety of toys(88/378/EEC). http://eurotechcertification.com/docs/Toy_Safety_Directive.pdf

დირექტივის თანახმად, მწარმოებელი, რომელიც ინფორმირებულია პროდუქტის შედგენისა და წარმოების ყველა პროცესისა და დეტალის შესახებ, ვალდებულია, მოახდინოს სათამაშოების კანონმდებლობასთან შესაბამისობის ძირეული ანალიზი. კერძოდ, მან უნდა ჩაატაროს სათამაშოს ანალიზი ქიმიურ, ფიზიკურ, მექანიკურ, ელექტრო, ჰიგიენურ, რადიოაქტიურ კომპონენტებზე და განსაზღვროს არსებული და პოტენციური საშიშროებები. ამდენად, დირექტივის მიხედვით, შესაბამისობის შეფასება წარმოადგენს მწარმოებლის ერთპიროვნულ ვალდებულებას. ⁷(Toy Safety Directive 2009/48/EC- An explanatory guidance document).

დირექტივის შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში იმპორტირებული სათამაშო შეესაბამებოდეს ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

მეწარმე-სუბიექტი ვალდებულია, მოახდინოს მხოლოდ ისეთი სათამაშოების იმპორტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირში დადგენილ მოთხოვნებს. იმპორტიორს აქვს ვალდებულება, ბაზარზე სათამაშოს განთავსებიდან 10 წლის განმავლობაში, შეინახოს შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რათა, მოთხოვნის შემთხვევაში, სხვა ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგინოს ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს. (Toy Safety Directive 2009/48/EC - An explanatory guidance document, Art. 13)

დირექტივის მე-7 მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია დისტრიბუტორის ვალდებულება, რომ განსაკუთრებული მზრუნველობით იმოქმედოს და უზრუნველყოს სათამაშოების შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. როდესაც დისტრიბუტორი მიიჩნევს, რომ სათამაშო არ შეესაბამება გათვალისწინებულ მოთხოვნებს, არ უნდა დაუშვას ბაზარზე იქამდე, სანამ ის არ იქნება შესაბამისობაში მოყვანილი. უფრო მეტიც, როდესაც სათამაშო რისკის მატარებელია, დისტრიბუტორმა უნდა მოახდინოს მწარმოებლისა და იმპორტიორის, ისევე როგორც ბაზრის ზედამხედველობის ორგანოს ინფორმირება ამის შესახებ.

დირექტივის მე-16 მუხლის მიხედვით, ნებისმიერი სათამაშო, რომლის განთავსებაც ხდება ბაზარზე, უნდა შეიცავდეს CE ნიშანდებას.

CE ნიშანი მოწმობს სათამაშოს შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან. აღნიშნული რეგულირების მე-4 თავის 30-ე მუხლის შესაბამისად, CE ნიშანდების მინიჭება ხდება მხოლოდ მწარმოებლის, ან მისი ავტორიზებული წარმომადგენლის მიერ.

⁷ Toy Safety Directive 2009/48/EC- An explanatory guidance document <https://law.resource.org/pub/eu/toys/guidance/tsd-rev1-7-explanatory-guidance-document-en.pdf>

2009 წლის 18 ივნისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ 2009/48/EC დირექტივის მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სათამაშოები CE ნიშანდებით შეესაბამება ამ დირექტივის მოთხოვნებს.

სათამაშოები, რომლებსაც არ აქვს CE ნიშანდება, ან რომელიც სხვაგვარად არ შეესაბამება აღნიშნულ დირექტივას, არ დაიშვება ევროკავშირის ბაზარზე იქამდე, სანამ არ მოხდება მისი შესაბამისობაში მოყვანა დირექტივის მოთხოვნებთან.

ევროკავშირის წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოები უფლებამოსილნი არიან გააკონტროლონ პროდუქციის შესვლა ბაზარზე.⁸ (Regulation (EC) No 765/2008).

1.4 სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის დიფუზია საქართველოში

გარდა „პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივისა“, არსებობს უშუალოდ სათამაშოებთან დაკავშირებული დირექტივა (Toy Safety Directive 2009/48/EC), რომელიც საქართველოში 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა ამოქმედდეს.

ამ დირექტივით დაწესებულია კონკრეტული მოთხოვნები: რომ სათამაშოს ჰქონდეს CE ნიშანი, შესაბამისობის დეკლარაცია, რომ ის ევროკავშირის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

დირექტივის მიხედვით, სათამაშოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ. ის არ უნდა იწვევდეს გაგუდვას, ასფიქსიას; არ უნდა იყოს აალებადი; ქიმიურ მოთხოვნებში გაწერილია, რა შეიძლება და რა არ შეიძლება, იყოს გამოყენებული. წერია, რომ ალერგიული ნივთიერებები არ უნდა იყოს გამოყენებული. გაწერილია ნივთიერებების ზღვრული რაოდენობა-ალუმინი, ბარიუმი, ქრომი და ა.შ. ასევე გაწერილია სხვა ორგანულ ნივთიერებებზე ზღვრული შემადგენლობები, რომელი ნივთიერება რა რაოდენობით დაიშვება და ა.შ.

“სათამაშოების უსაფრთხოების“ შესახებ ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათამაშოების უსაფრთხოებისა და ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი, რათა უზრუნველყონ ბავშვებისთვის უვნებელი და უსაფრთხო სათამაშოების ხელმისაწვდომობა. დირექტივა საქართველოში 2019 წლის 1 სექტემბრამდე უნდა შესრულდეს.

საქართველოში სათამაშოების ბაზარზე არსებულ ზოგიერთ პროდუქციას გარკვევით აწერია მწარმოებელი ფირმა, რომელიც აღმოჩენილ დარღვევებზე პასუხს აგებს, მაგრამ არის

⁸ Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products and repealing Regulation (EEC) No 339/93 (Text with EEA relevance),
Art. <http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:218:0030:0047:en:PDF>

სათამაშოები, რომელსაც მხოლოდ „Made in China“ აწერია ინგლისურად, დანარჩენი სულ ჩინურია წარწერებია. შესაძლოა აღნიშნული სათამაშოების ეტიკეტზე წერია, რომ ჯანმრთელობისთვის საშიშია, მაგრამ მომხმარებელთა უმრავლესობა ვერ კითხულობს და ვერ იგებს. ამიტომ აუცილებელია, რომ ქართულ ბაზარზე შემოტანილ ყველა პროდუქციას ჰქონდეს ქართული ეტიკეტი.

თუმცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად, სათამაშოების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა ევროპისას უნდა დაუახლოვდეს. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით შემუშავდება იმ ჯარიმების ოდენობა (საშუალოდ განისაზღვრება 300-დან 7000 ლარამდე), რომელიც ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების რეალიზატორებს დაეკისრებათ იმ შემთხვევაში, თუ სახიფათო ნაწარმს არ გაანადგურებენ, ან ბაზრიდან არ ამოიღებენ.

ტექნიკური ზედამხედველობის სააგენტოს მიხედვით:

*ჯარიმის გამომწვევი მიზეზებისა და მისი ოდენობის შესაბამისობის ცხრილი

7000 ლარი	• თუ პროდუქცია გადამუშავების პროცესშიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს
5000 ლარი	• პროდუქციის გამოთხოვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების არ შესრულება
1500 ლარი	• პროდუქციის რეალიზაციის შეჩერებაზე მიღებული გადაწყვეტილების არ შესრულება
300 ლარი	• პროდუქციის ბაზრიდან ამოღების გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

*კონკრეტულად, თუ რას ითვალისწინებს ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება, პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი დირექტივა ასეთია:

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დანიშნონ კომპეტენტური პირები ან შექმნან კომპეტენტური ორგანო, რომელიც მონიტორინგს გაუწევს პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად ნორმებთან შესაბამისობას. მათ უნდა მიენიჭოთ სათანადო ძალაუფლება, რათა მიიღონ შესაბამისი ზომები, რომლებიც ამ დირექტივით არის განსაზღვრული.“

ნებისმიერი სახიფათო პროდუქტის შემთხვევაში: უნდა აიკრძალოს მისი რეკლამა და დაადგინონ წესები აკრძალვის უზრუნველსაყოფად.

ნებისმიერი საშიში პროდუქტის შემთხვევაში, რომელიც უკვე ბაზარზეა, შესაბამისმა ორგანომ უნდა მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ გატანა და აცნობოს მომხმარებელს

არსებული რისკის შესახებ. მწარმოებელსა და დისტრიბუტორთან ერთად გაუწიოს კოორდინაცია ან, თუ საჭიროა, მოახდინოს მყიდველისგან საშიში პროდუქტის უკან გამოთხოვისა და შესაბამის პირობებში განადგურების ორგანიზება“, - ამის შესახებ ნათქვამია პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად დირექტივაში.

დირექტივის თანახმადვე, სათამაშოების ხარისხი უნდა იყოს ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისი. სათამაშოს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ინსტრუქცია, ასევე ინფორმაცია უსაფრთხოების შესახებ. ის არ უნდა იწვევდეს გაგუდვას, ასფიქსიას და არ უნდა იყოს აალებადი.

ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო საქონელი უსაფრთხო უნდა იყოს - ეს დებულება როგორც მომხმარებელთა დაცვის, ასევე ბაზრის შეუფერხებლად ფუნქციონირების ცენტრალური პარადიგმაა. პროდუქციის უსაფრთხოების მიზნით ბაზრის რეგულირება საერთაშორისო ვაჭრობაში დაშვებულ "ტექნიკურ ბარიერს" წარმოადგენს.

1985 წლიდან ევროკავშირში პროდუქციის ტექნიკურტი მახასიათებლების რეგულირების ე.წ. "ახალი მიდგომა" მოქმედებს, რომლის მიხედვით სავალდებულო შეიძლება იყოს პროდუქციის მხოლოდ ისეთი ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც არსებითია პროდუქციის უსაფრთხოებისთვის (ადამიანთა ჯანმრთელობის, გარემოს ან სხვა თვალსაზრისით) და მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის თავიდან აცილების ან სხვა მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციისთვის.

ყველა სხვა ტექნიკური მახასიათებელი (მათ შორის სტანდარტები) მეწარმის თავისუფალ არჩევანზეა დამოკიდებული. მეწარმეს შეუძლია არც ერთი სტანდარტი არ დაიცვას, თუმცა ყველა შემთხვევაში ვალდებულია დაიცვას ქვეყანაში მოქმედი ტექნიკური რეგულაციები. მხოლოდ ტექნიკური რეგულაციების მოთხოვნების დაცვით დამზადებული საქონელი შეიძლება მოხვდეს ბაზარზე.

2010 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სტრატეგია და პროგრამა სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სფეროში, ხოლო 2011 წელს - სამრეწველო პროდუქციის ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია. 2014 წლიდან კი ამ საკითხების მოგვარების განრიგს ასოცირების შეთანხმება ადგენს.

საქართველოს ვალდებულებები პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ორი ნაწილისგან შედგება:

- სფეროს რეგულირების ზოგადი მიდგომებისა და პრინციპების დანერგვა საქართველოში;
- საფრთხის შემცველი კონკრეტული პროდუქციისადმი ევროკავშირში დადგენილი მოთხოვნების გადმოტანა ქართულ კანონმდებლობაში.

1.5 პლასტმასის სათამაშოების მწვავე პრობლემა ევროპაში, უსაფრთხოების ტესტირება და რისკების შეფასება

პლასტმასის უხარისხო სათამაშოების პრობლემა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საკმაოდ მწვავედ დგას. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გასულ წელს მომხმარებლებმა მსგავს პროდუქტში \$480 მილიონზე მეტი დახარჯეს. გარემოს დამცველები ამბობენ, რომ ეს ნაგავსაყრელებსა და ოკეანეებში პლასტმასის ნარჩენების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს.

ბრიტანული გულის ფონდის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილე მშობელთა მეოთხედზე მეტმა აღიარა, რომ დაუზიანებელი სათამაშოებიც გადაუყრია. ამასთან, ისიც დადგინდა, რომ ბავშვებს დიდ ბრიტანეთში საშუალოდ ოთხი ისეთი სათამაშო აქვთ, რომლითაც ერთხელაც არ უთამაშიათ.

სანამ ზუსტად გავარკვევდეთ, ნაგავსაყრელებზე არსებული პლასტმასის რა რაოდენობაა სათამაშოების ნარჩენი, გარემოს დამცველები ამბობენ, რომ მომხმარებლებს მიმოქცევაში მყოფი პროდუქტის რაოდენობის შემცირება მაინც შეუძლიათ. ამის მიღწევა მარტივია, თუ ადამიანები სათამაშოებს ყიდვის ნაცვლად ნათესავებისგან, მეგობრებისგან ან სპეციალური დაწესებულებებისგან ითხოვებენ, შემდეგ კი მათ სხვა მშობლებს გადასცემენ.

გარემოსდაცვით ორგანიზაცია Greenpeace UK-ში ამბობენ, რომ პლასტმასის სათამაშოები მრავალჯერადი გამოყენების ნივთებად უნდა ჩაითვალოს. ისინი ნამდვილად არ არიან გათვლილები ერთჯერადი გამოყენებისთვის - პლასტმასის სათამაშოები, როგორც კვლევიდან ვიცით, ოჯახებში დაახლოებით ათი წელი რჩებიან და შემდეგ მათ საქველმოქმედო ფონდებში აბარებენ ან მეგობრებსა თუ ნათესავებს ჩუქნიან ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ბევრ სათამაშო ნაგავში მოხვედრამდე 15-20 წელი რჩება მოხმარებაში.

შეიძლება, არც სათამაშოების გადამუშავებული პლასტმასისგან დამზადება იყოს გამოსავალი. გადამუშავებული პლასტმასი, მისი საექვო ქიმიური შემადგენლობის გამო, იშვიათადაა გამოსადეგი სათამაშოების წარმოების პროცესში. დიდი შანსია, რომ მასში ერთი ისეთი ქიმიური კომპონენტი მაინც ერიოს, რომლის გამოყენებაც სათამაშოების უსაფრთხოების კანონმდებლობითაა აკრძალული (ნატაშა კრუკსი, British Toy and Hobby Association, 25 მაისი 2019).

პრობლემისგან გამოსავალი პლასტმასისგან თავის სრულად დაღწევა და გადამუშავებადი მასალისგან დამზადებული სათამაშოების შექმნაზე გადასვლა შეიძლება იყოს. დღეისათვის უამრავი ახალი ეკო-მეგობრული ბრენდები არსებობს, რომლებიც სათამაშოებს ხისაგან და გადამუშავებული მასალისგან ამზადებენ. მაგრამ ასეთი ნივთები, როგორც წესი, ძვირი ღირს.

მეორადი სათამაშოების ბაზარი საკმაოდ აქტუალურია ევროპაში, თუმცა, არსებობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული რისკები. გასულ წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთმა შემოწმებულმა სათამაშომ ვარგისიანობის განახლებული სტანდარტები ვერ დააკმაყოფილა.

საწესდებო სავაჭრო სტანდარტების ინსტიტუტის თანამშრომელი, მარკ გარდინერი ამბობს: "ნებისმიერ საქონელს, რომელიც მეორადი წყაროებიდან არის შეძენილი, არ აქვს ახლადდამზადებულის მსგავსი უსაფრთხოების გარანტიები. მშობლებმა უნდა აწონონ-დაწონონ ეს რისკები, განსაკუთრებით მაშინ, როცა შვილებს ძალიან ძველ და, დიდი ალბათობით, მექანიკურად გაუმართავ სათამაშოებს აძლევენ"

მანამ, სანამ მომხმარებლები ნაკლები ახალი სათამაშოს შეძენას ცდილობენ, გარემოს დამცველები ამბობენ, რომ მთავარი ნაბიჯები მწარმოებლებსა და მსხვილ კომპანიებს აქვთ გადასადგმელი.

სათამაშოების ზოგიერთი კომპანია უკვე ცდილობს, მეტად ეკო-მეგობრული გახდეს. მაგალითად, ლეგოს ფოთლები, ბუჩქები და ხეები ახლა ნამდვილად მწვანეა - ისინი შაქრის ლერწმისგან წარმოებული პლასტმასისაგანაა დამზადებული. დანიურ ბრენდს გადაწყვეტილი აქვს, რომ 2030 წლისათვის წარმოებულ პროდუქტსა და შეფუთვაში მხოლოდ გადამუშავებადი ნივთიერებები გამოიყენოს.

სათამაშოების კომპანია MGA Entertainment-იც ცდილობს შეამციროს საწარმოო ნარჩენები, რომლებიც თოჯინების შეფუთვის შედეგად წარმოიქმნება. ახლა მომხმარებლებს შეუძლიათ, ნარჩენები გადასამუშავებელ კომპანიას, TerraCycle-ს გადაუგზავნონ (ლინდსი ბრაუნი BBC-ის ჟურნალისტი, 11 აპრილი 2019).⁹ სათამაშოების უსაფრთხოებაზე ევროკომისიის ექსპერტთა ჯგუფი რეგულარულად აქვეყნებს სახელმძღვანელოების დიდ დოკუმენტებს, რომელიც მიზნად ისახავს TSD- სთან დაკავშირებული ინტერპრეტაციის საკითხების ინტეგრაციას. სათამაშოების მწარმოებლებს სჭირდებათ მკაცრი რეგულირების ცვლილებები და ინტერესი რომ მათი პროდუქცია შეესაბამებოდეს ახალ მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, რეალიზაციამდე აუცილებელია ტესტებისა და რისკების შეფასების ჩატარება ყველა პროდუქტისთვის, ეს მნიშვნელოვანია ყველა მწარმოებლისთვის, რადგან ისინი იღებენ პასუხისმგებლობას სათამაშოებით მიღებული დაზიანებებისა და გარდაცვალების გამო.

არსებობს შემდეგი სახის უსაფრთხოების ტესტები:


- ✚ მექანიკური / ფიზიკური ტესტირება
- ✚ Flammability ტესტირება

⁹ ლინდსი ბრაუნი BBC-ის ჟურნალისტი, 11 აპრილი 2019). სტატიის ორიგინალი: BBC თარგმანი: სოფიკო ხოხობაშვილი, 22 მაისი 2019, <https://on.ge/story/37255>. <https://www.bbc.com/news/science-environment-47868871?fbclid=IwAR1-u2r-qBUdL2TIXLqsXgXXs3f8tjuf25AanPlp4xksw-3f1OGog7IAa4>

- ✚ ელექტრო უსაფრთხოების ტესტირება
- ✚ ქიმიური ტესტირება

პროდუქციისგან მიღებული საფრთხის ანალიზისა და რისკების შეფასების დროს მნიშვნელოვანია პოტენციური საფრთხის შემცველი მიზეზების დადგენა და პროდუქტის სიცოცხლის ციკლის დასაწყისში შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება. რისკის შეფასების დროს უნდა განხორციელდეს შესაძლო რისკებისა და პოტენციური ექსპოზიციის ანალიზი. გარდა ამისა, სათამაშოების წარმოების გაკონტროლება მიზნად ისახავს პროდუქციის უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფას ¹⁰(Guidance documents from the Expert Group on Toy Safety European Commission, Retrieved 27 September 2012).

გლობალური სათამაშოები, 2018 წლის გაყიდვები კატეგორიების მიხედვით



წყარო: The NPD Group, იანვარი-დეკემბერი 2018

The NPD Group¹¹-ის მიერ 2018 წლის დეკემბერი/იანვარის თარიღით გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, სათამაშოების გაყიდვების ზრდადი მაჩვენებლით ხასიათდება თოჯინების კატეგორია, რაც 2017 წელთან შედარებით 9%-იან ზრდას გულისხმობს.

1.6 სათამაშოების კლასიფიკაცია და სამომხმარებლო თვისებები

¹⁰ Guidance documents from the Expert Group on Toy Safety European Commission, Retrieved 27 September 2012). https://ec.europa.eu/growth/sectors/toys/safety/guidance_en

¹¹ NPD Group, Inc. (NPD- National Purchase Diary Panel Inc-ეროვნული შესყიდვების დღიური პანელი) არის ამერიკული ბაზრის კვლევითი კომპანია, რომელიც დაფუძნდა 1966 წლის 28 სექტემბერს, ნიუ იორკში, პორტ ვაშინგტონში.

სათამაშოების თანამედროვე დიაპაზონი მოიცავს 10 ათასზე მეტ ნივთს. მათი დიდი რაოდენობა კლასიფიცირებულია მრავალი მახასიათებლის მიხედვით: ძირითადი ბაზის ტიპი, საიდანაც ისინი მზადდება; დამოკიდებულია სათამაშოების მიერ შესრულებული ძირითადი პედაგოგიური ფუნქციის მიხედვით; ბავშვების ასაკი, ვისთვისაც სათამაშო განკუთვნილია; გადაცემის თამაშები; სახეობა.

ძირითადი მასალის ტიპების მიხედვით, სათამაშოები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: პლასტმასი, რეზინა, ლითონი, ხე, ტექსტილი, ქაღალდი, მუყაო, მინა, კერამიკა და სხვა.

ძირითადი პედაგოგიური ფუნქციის მიხედვით ბავშვების სათამაშოები შესაძლოა იყოს: შემოქმედებითი, მობილური/სპორტული, მაგიდის ზედა, სიმბოლური, სახალისო, მუსიკალური, გასართობი, დიდაქტიკური, ექსპერიმენტული და სხვა.

სათამაშოები ასაკობრივი მიზნით იყოფა ასაკობრივი ჯგუფებისათვის:

- საბავშვო ბაღის ასაკი:
 - ადრეული პირველი ჯგუფი (1 წლამდე);
 - მეორე ჯგუფი ადრეული ასაკიდან(2 წელი);
 - ახალგაზრდა ჯგუფი(3 წლამდე);
- სკოლამდელი ასაკი:
 - უმცროსი/საშუალო ჯგუფი(4-5 წელი);
 - უფროსი ჯგუფი (6 წელი);
 - მოსამზადებელი ჯგუფი(7 წელი)
- სკოლის ასაკი-18 წლამდე:
 - უმცროსი (7-12 წელი);
 - შუა (11-15 წელი);
 - უფროსი (14-18 წელი);

საბავშვო სათამაშოები ხელს უწყობს გრძნობათა ორგანოების განვითარებას, მოძრაობის კოორდინაციას და ფორმის აღქმას.

1.7 LEGO-ს პროდუქციის წარმოების პოზიტიური მხარე

2008 წლიდან 2013 წლამდე, 5 წლის მანძილზე, LEGO-ს ჯგუფმა წარმატებით დაასრულა 2000-ზე მეტი ნედლეული მასალის შემოწმება, რომელიც გამოიყენება LEGO® პროდუქციაში, და დაამტკიცა რომ სრულად აკმაყოფილებს ევროკავშირის ახალი სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივას, რომელიც სულ ახლახანს შევიდა ძალაში.

ახალი დირექტივა ადგენს მკაცრ მოთხოვნებს მასალებზე და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციაზე, რომელიც გამოყენებულია სათამაშოების წარმოებაში. LEGO ჯგუფი გადის უსაფრთხოების შეფასების გზას უკვე მრავალი წლის მანძილზე და ყოველთვის უმკლავდებიან მკაცრი უსაფრთხოების გლობალურ სტანდარტებს. ახალი დირექტივის საპასუხოდ LEGO ჯგუფმა აირჩია, რომ გააფართოვოს და დახვეწოს თავისი მიდგომა.

2008 წლის შემდეგ კომპანია მუშაობდა ინტენსიურად, რომ ყველა პროდუქციას დაეკმაყოფილებინა ახალი კანონმდებლობა. 2013 წლის 20 ივლისს, ევროკავშირის სათამაშოების უსაფრთხოების დირექტივის დასკვნითი ნაწილი - ქიმიური მოთხოვნები შევიდა ძალაში. როგორც იორგენ ვიგ კნუდსტოპი, LEGO ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი, ამბობს: "პროდუქტის უსაფრთხოება არის LEGO-ს უმაღლესი პრიორიტეტი და ჩვენ ყოველთვის ვაწარმოებთ პროდუქტს, რომელიც უძლებს უმკაცრეს გლობალურ მოთხოვნებს. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია რომ ბავშვებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰქონდეთ საშუალება უსაფრთხოდ ითამაშონ LEGO-თი. ახალი სათამაშოების დირექტივა აწესებს მაღალ მოთხოვნებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს მას".

LEGO ჯგუფმა აირჩია ახალი დირექტივის ყველა შესაძლებელი ინტერპრეტაციის ყველაზე მკაცრი გზა. შედეგად ყველა ინდივიდუალური ნივთიერება, ნედლეული და მასალა, LEGO ნაწილები და LEGO ნაკრებები იყო შერჩეული გადასამოწმებლად, სათამაშოების დირექტივის უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით, ისევე როგორც სხვა კანონმდებლობით. მაგალითად ჯგუფის შიდა მოთხოვნებით ასეთი მაღალი დონის ანალიზები აღემატება აშშ კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაცვით სამართლებრივ მოთხოვნებს, რითიც კომპანია უზრუნველყოფს LEGO კუბიკების წარმოებას მხოლოდ აბსოლუტურად უსაფრთხო და სუფთა მასალებისგან."

"მას შემდეგ, რაც დადასტურდა, რომ ყველა LEGO-ს პროდუქტმა და ნედლეულმა მასალებმა გაუძლო მკაცრ კანონმდებლობას, ჩვენ გადავწყვიტეთ შეგვემუშავებინა და განგვეხორციელებინა მეთოდოლოგიური პროცესი, რათა მკაცრად დაგვეცვა ის ვრცელი და დეტალური ნორმატივები რომელსაც მოითხოვს ევროკავშირის სათამაშოების დირექტივა. ეს იყო დიდი ამოცანა ჩვენი ჯგუფისთვის, რომელიც გაიზარდა ოთხჯერ 2008 წლის შემდეგ. მსოფლიო მასშტაბით მნიშვნელოვანი რესურსები იქნა გამოყენებული იმის უზრუნველსაყოფად და დოკუმენტალურად დასამტკიცებლად, რომ 2000-ზე მეტმა ნედლეულმა მასალამ დააკმაყოფილა ყველა მოთხოვნები, " ამბობს კორნელის ვერსლუისი, კორპორატიული ხარისხის ვიცე პრეზიდენტი, პიროვნება ვინც სრულად პასუხისმგებელია ხარისხის მართვის დოკუმენტირების პროცესზე.

LEGO-თი თამაშის გამოცდილების საფუძველი მომდინარეობს საკულტო 2x4 კუბიკიდან. დირექტივის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ერთი კუბიკი გადის უსაფრთხოების დეტალურ მოთხოვნებს: ნაწილის რისკის შეფასებას, სათამაშოს უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ მოხსენებას. როდესაც ნედლეული სრულად მოწმდება, გასავლელი შემოწმების ეტაპების რაოდენობა ადის 10-მდე. ბექდური ფორმით, ეს ინფორმაცია და თანდართული დოკუმენტები ერთი LEGO-ს კუბიკზე, ავსებს 25 გვერდს. მაგალითად LEGO 60002 სახანძრო სატვირთო , რომელიც შედგება 209 LEGO ნაწილისგან არის კონკრეტული ნიმუში დაწვრილებითი შემოწმებისა,

რომელ Lego fire truck.gpj-იც საჭიროა, სანამ LEGO-ს ნებისმიერ პროდუქტს გაიტანენ გასაყიდად. აღნიშნულმა სახანძრო სატვირთომ დასამტკიცებლად გაიარა LEGO ჯგუფის 1000-ზე მეტი შესამოწმებელი ეტაპი. ნედლეულის თითოეული ნიუანსის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს LEGO ჯგუფს იმოქმედოს დამაჯერებლად, როდესაც მას დასჭირდება რეაგირების მოხდენა კანონმდებლობის ნებისმიერ ახალ ცვლილებებზე, ამისატვის იგი იყენებს ინოვაციურ სამეცნიერო ინფორმაციას რათა მოახდინოს ისეთი ცვლილებების განხორციელება როგორცაა მაგალითად არსებული მასალის უფრო ახალი, უსაფრთხო და ეკოლოგიურად სუფთა მასალით ჩანაცვლება.¹²

თავი 2: უსაფრთხო მოხმარების პრობლემები ქართულ ბაზარზე

2.1. სათამაშოების ინდუსტრიაში არსებული ვითარების ზოგადი მიმოხილვა

დღეს ქვეყანაში არ არსებობს ინფორმაცია, თუ რა ტიპის სათამაშოები შემოდის ბაზარზე. არც სახელმწიფო სტრუქტურები და არც სხვა რომელიმე ორგანიზაცია კვლევას და ლაბორატორიულ შემოწმებას არ ატარებენ, იმიტომ რომ სათამაშოს უსაფრთხოების შემოწმება არსებული კანონმდებლობით არ რეგულირდება.

"სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მიერ ჩატარებული კვლევით გაირკვა, რომ საქართველოში შეძენილი 10 სათამაშოდან 9-ში მავნე ნივთიერებაა.

ევროკავშირს აქვს სწრაფი შეტყობინების სისტემა „რაპექსი“, სადაც ევროკავშირის წევრი-ქვეყნები ინფორმაციას ათავსებენ მათი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილი დარღვევების შესახებ. ეს სურსათის გარდა, ყველა სხვა ტიპის პროდუქციას, მათ შორის სათამაშოებსაც ეხება. ამ ჩამონათვალში არის ბევრი ისეთი სათამაშო, რომელიც საქართველოში იყიდება. ევროკავშირის ტერიტორიაზე ბარბის თოჯინების 100-დან 99%-ში

¹² „LEGO_კომპანიის გასაოცარი ისტორია“,15 აგვისტო 2014, <https://www.kubiki.ge/ge/blog/lego>).

აღმოჩენილია მავნე ნივთიერება D (2-ეთილჰექსილ) ფტალატი (DEHP), რომელიც ჯანმრთელობისთვის საზიანოა.

იმისთვის, რომ დადგინდეს ერთი კონკრეტული სათამაშო რამდენად უსაფრთხოა, ბევრი ლაბორატორიული ანალიზის ჩატარებაა საჭირო.

„სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით სათამაშო შესაძლოა ჩინეთში იყოს წარმოებული, მაგრამ მისი მწარმოებელი გერმანული ან სხვა ქვეყნის ფირმა იყოს, რომლებიც კონკრეტული სათამაშოს დამზადებას უბრალოდ ჩინეთში უკვეთავენ. აღნიშნული დებულება ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ყველა ჩინური სათამაშო არ შეიძლება ცუდი იყოს. თუმცა, ამის მიუხედავად კვლევითი ცენტრის მიერ გერმანიაში გაგზავნილი ყველა სათამაშო ჩინური წარმოების იყო, რათა დაედგინათ არსებობდა თუ არა მასში მავნე ნივთიერებები, როგორც არის დი-ეთილჰექსილ ფტალატი, კადნიუმი, ტყვია და ა.შ.

აღნიშნული ნივთიერებები რეპროდუქციული უნარის დაქვეითებას იწვევს. ვნებს თირკმელს და ღვიძლს. გარკვეულ ეტაპზე, ასეთი სათამაშოების რეგულარულმა გამოყენებამ გარკვეული ეტაპის შემდეგ, შესაძლოა ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზული პრობლემები შეუქმნას.

ჩვენს სახელმწიფოში არსებული პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის თანახმად, ბაზარზე განთავსებული ნებისმიერ პროდუქტი უნდა იყოს უსაფრთხო და უვნებელი ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამავე კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად მწარმოებელი ვალდებულია გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში. მწარმოებლებმა ასევე, ინფორმაცია უნდა გადასცენ დისტრიბუტორებს პროდუქტთან დაკავშირებული რისკების შესახებ, რათა დისტრიბუტორებმაც შეძლონ ინფორმაციის მესამე პირისთვის სრულად გადაცემა.¹³

საქართველოში სურსათ-პროდუქტების მიმართულებით თუ არსებობს სხვადასხვა ნორმატიული აქტები, სათამაშოებთან დაკავშირებით მსგავსი პრაქტიკა არ არსებობს. მაგრამ არსებული საფრთხეების თავიდან აცილებისთვის აუცილებელია, რომ ქვეყანაში ნებისმიერ ნივთიერებასთან მიმართებით იყოს განსაზღვრული ნორმები და შესაბამისი ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს კვლევების ჩატარებას.

¹³ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი კოდექსი, 25 მაისი 2012 წელი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=24>

2.2 საბავშვო სათამაშოებში არსებული მავნე ნივთიერებებით ინტოქსიკაცია, მისი მასშტაბები და გავრცელების არეალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინფორმაციით, ტყვია, რომელიც მძიმე მეტალს წარმოადგენს, ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ საფრთხეს უქმნის ტვინს, ღვიძლს, თირკმელებსა და ძვლებს. თუმცა, ტყვიით ინტოქსიკაცია გარკვეული დროის შემდეგ ხდება. ის ორგანიზმში, ძვლებსა და კბილებში “რჩება” და დროთა განმავლობაში გროვდება. ორსულობის დროს ტყვია ძვლებიდან სისხლში გადადის და ხდება ემბრიონის დასახივება.

ტყვია განსაკუთრებით საშიშია იმიტომაც, რომ ორგანიზმში მცირე დოზით არსებობისას პაციენტს ხილული და განსხვავებული სიმპტომები არ აღენიშნება.

WHO (World Health Organization)-ის თქმით, არ არსებობს ორგანიზმში ტყვიის უსაფრთხო დონე. ორგანიზაციის თქმით, 5 მიკროგრამი/დეცილიტრზე, რომელიც ადრე ტყვიის დასაშვებ და უსაფრთხო ნორმად ითვლებოდა, ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველია.

რაც შეეხება ბავშვებს, WHO-ის ინფორმაციით, ადრეულ ასაკში ისინი, წყაროს არსებობის შემთხვევაში, ფაქტობრივად, დაუცველები არიან ტყვიით ინტოქსიკაციისგან, ვინაიდან მათი ორგანიზმი ზრდასრულებთან შედარებით 4-5-ჯერ უფრო მეტ ტყვიას ითვისებს. გარდა ამისა, მცირეწლოვან ბავშვებში ძლიერია ცნობისმოყვარეობა და ასაკისთვის ჩვეული ქცევა, რაც უცხო ნივთების პირში ჩადებას გულისხმობს. სწორედ ამიტომ, ბავშვმა, შესაძლოა, თავად აიღოს და გადაყლაპოს ისეთი ნივთი, რომელიც ტყვიას შეიცავს.

ტყვიით ინტოქსიკაცია ბავშვებში სავალალო შედეგებს იწვევს. დასახივების მაღალი დონის შედეგად, ტყვია ზიანს აყენებს ტვინსა და ცენტრალურნერვულ სისტემას, რაც კომის, კონვულსიებისა და სიკვდილის მიზეზიც შეიძლება გახდეს. ბავშვებს, რომლებიც ინტოქსიკაციის შემდეგ გადარჩენენ, აზროვნების დაქვეითება და ქცევითი დისფუნქციები აღენიშნებათ.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თქმით, 2015 წლის კვლევის თანახმად, ტყვიის ზემოქმედების შედეგად 494 550 სიკვდილი დაფიქსირდა. ეს ნიშნული განსაკუთრებით მაღალი იყო განვითარებად ქვეყნებში. ტყვიის ზემოქმედება არ გულისხმობს მოწამვლას. აქ საუბარია ისეთ მიზეზებზე, როდესაც სისხლში ტყვიის არსებობამ პროვოცირება გაუწია სხვადასხვა, მათ შორის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავებას და შედეგი იყო ფატალური.

ტყვიის ბუნებრივი წყარო დედამიწის ქერქია, თუმცა ადამიანების მიერ მიწის ბურღვამ და წიაღისეულის გადამუშავებამ, ტყვიას გავრცელების ფართო არეალი მისცა. ტყვია დიდი ოდენობით აღინიშნება რიგ საღებავებში, საწვავსა და კოსმეტიკაში.

მნიშვნელოვანია, რომ ტყვიას შეიძლება შეიცავდეს სათამაშოებიც, რაც შეეხება შესაძლო სიმპტომებს, დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით:¹⁴

ბავშვებში ტყვიის ინტოქსიკაციის სიმპტომები შესაძლოა იყოს:

- გაღიზიანებულობა და მოთენთილობა
- მადისა და წონის დაკარგვა
- მუცლის ტკივილი
- ინფორმაციის ათვისების უნარის დაქვეითება
- სმენის დაქვეითება
- განვითარების შენელება

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის(მიქსი) ფარგლებში, 2018 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე პერიოდში საქართველოში ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვების სისხლში ტყვიის დონის განსასაზღვრას.

ამისათვის, ვენური სისხლის სინჯები შეგროვდა 2-7 წლის 1578 ბავშვისგან საქართველოს მასშტაბით. ბავშვების ჩართვა კვლევაში მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით და სინჯები გაიგზავნა იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში, რომელიც წარმოადგენს ევროპის წამყვან, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ინსტიტუტს. ტყვიის შემცველობაზე სისხლის ნიმუშის კვლევისას გამოყენებული იყო ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი (ICP MS), რაც წარმოადგენს ტყვიის კვლევის ოქროს სტანდარტს.

“გაეროს ბავშვთა ფონდი, ცხრა დონორ ორგანიზაციასთან ერთად, დაეხმარა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, კვლევის ჩატარებაში, რომელიც მიზანიც პრობლემის მასშტაბების განსაზღვრა იყო. ჩვენ ვაფასებთ საქართველოს მთავრობის მიერ პრობლემის აღიარებას და მთავრობის კეთილ ნებას, შეიმუშაოს რეაგირების მოკლე და გრძელვადიანი სტრატეგიები და ღონისძიებები. შემდეგი ნაბიჯი ტყვიის ზემოქმედების წყაროების კვლევა უნდა იყოს”- განაცხადა გოტფრიდ ჰანემ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლის მოადგილემ.


¹⁴ „ტყვიით ინტოქსიკაცია – რისკები, შესაძლო სიმპტომები და მკურნალობა“ 25 სექტემბერი 2017, <http://netgazeti.ge/news/295469/>



საქართველოს რეაბილიტაციის
პროგრამის განყოფილება
საქართველოს ჯანდაცვის
სისტემის რეაბილიტაციის
სამსახური



კვლევის შედეგები რეგიონების მიხედვით



წყარო: <https://www.unicef.org>, “ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა საქართველოში“, 23 აპრილი 2019


საქართველოში ბავშვების 41%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე), მათ შორის, ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს. ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა არის 5-დან 10 მკგ/დლ-მდე. ასეთია შედეგები ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი კვლევისა, რომელიც დღეს გამოქვეყნდა.



საქართველოს რეაბილიტაციის
პროგრამის განყოფილება
საქართველოს ჯანდაცვის
სისტემის რეაბილიტაციის
სამსახური



კვლევის შედეგები რეგიონების მიხედვით



წყარო: <https://www.unicef.org>, “ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა საქართველოში“, 23 აპრილი 2019

ტყვიის მინიმალური, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო კონცენტრაცია ადამიანის ორგანიზმში არ არის დადგენილი. თუმცა, მსოფლიო ჯანდაცვის რეკომენდაციების

შესაბამისად, საზოგადოებრივი ჯანდაცვითი ღონისძიებები უნდა დაიგეგმოს, როდესაც ვენურ სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე).

მთავრობა გეგმავს შეიმუშაოს ტყვიის ტოქსიური ზემოქმედების აღმოფხვრის ყოვლისმომცველი სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ტყვიით დაბინძურების წყაროების კვლევას; მოკლე, საშუალო და გრძელვადიან ღონისძიებებს ტყვიით დაბინძურებული ადგილების განეიტრალების, იზოლაციისა და მართვის მიზნით; საბაზრო მიმოქცევაში ტყვიით დაბინძურებული პროდუქტების მოხვედრის პრევენციას და საზოგადოების ინფორმირებისკენ მიმართულ საინფორმაციო კამპანიებს.

ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, კვლევა საყურადღებოა, მაგრამ არა - საგანგაშო და კვლევა დამატებით ჩაუტარდებათ იმ ბავშვებს, რომელთა სისხლშიც ტყვიის მომატებული შემცველობა აღმოჩნდა.

მინისტრის თქმით, კვლევის შედეგად პოზიტიური ნაწილიც აქვთ, ბავშვების გონებრივი განვითარება აბსოლუტური ნორმის ფარგლებშია. ყველა იმ ბავშვს კი, რომლებსაც აღმოაჩნდათ მომატებული რაოდენობა, აუცილებლად ჩაუტარდებათ განმეორებითი კვლევები, რასაც დაემატება გარემოს სინჯების აღება.

დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელის განცხადებით, გამოკვლეული 1578 ბავშვიდან დაახლოებით 650-ს ჩაუტარდება დამატებითი კვლევა, რასაც სახელმწიფო დააფინანსებს.

სახელმწიფო ასევე დააფინანსებს ინტერვენციებსაც, სადაც პედიატრის დანიშნულებით ჩარევა იქნება საჭირო. ჩარევა ძირითადად იქნება რკინის, კალციუმის, პრეპარატების, ვიტამინების მიცემის გზით. ასევე მონიტორინგი მოხდება გარკვეული პერიოდულობით.

ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით მეორე სტრატეგიული ამოცანაა ტყვიის წყაროს პოვნა. საქართველოში, რეგიონების მიხედვით ბავშვების სისხლში ტყვიის ღონის ასეთი განსხვავება რამდენიმე დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში, შედეგები არ არის დაკავშირებული ინდუსტრიულ კომპონენტთან, რადგან ყველაზე დიდ ქალაქში თბილისში ბევრად ნაკლებია ვიდრე დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. მეორე მხრივ, კვლევის შედეგები გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა რეგიონებში იყოს ისეთი არეალები, სადაც ათწლეულების წინანდელი საწვავისა და საღებავის ნარჩენები რომელიც ნიადაგში დიდხანს რჩება, იწყვედეს ასეთ სხვაობას.¹⁵

¹⁵ http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=69697, ეკატერინე ბასიალაია 24 აპრილი 2019

2.3 ტყვიით ინტოქსიკაციის მწვავე პრობლემა

ძნელი განსასაზღვრია, თუ ტყვია რა ტიპის საკვებში შეიძლება იყოს, თუმცა ცნობილია, რომ აღნიშნულ მეტალს მკვეთრი ფერის საღებავი შეიცავს, თუმცა ხარისხზეც არის დამოკიდებული. მკვეთრად შეღებილი სათამაშოები შეიცავენ ტყვიის დიდ რაოდენობას, ეს საკვებსაც ეხება.

ტყვია გარემოში შეიძლება გაჩნდეს გამონაბოლქვისა და სამშენებლო სამუშაოების შედეგადაც. ტყვიის მიმართ ბავშვები ძალიან მოწყვლადი კონტიგენტია, რადგან ისინი ჯერ კიდევ მუცლად ყოფნის დროს, დედის ორგანიზმიდან იღებენ ტყვიას, ამიტომ ამ მხრივ ორსულები ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ.

აღსანიშნავია, რომ ტყვიის შემცველობაზე ორსულთა გამოკვლევა არ ხდება, როცა ის პლაცენტარულ ბარიერს ადვილად გადის და ჩვილის ორგანიზმში, მაგალითად, თავის ტვინსა და ძვლებში გროვდება, შესაბამისად, ბავშვი უკვე იზადება გარკვეული რაოდენობით ტყვიის კონცენტრაციით და შემდეგ ემატება გარემოდან მიღებული ტყვია. მეტალი დედის რძითაც გადადის. ბავშვის ორგანიზმმა მეტალი სათამაშოებისა და შესახვევი მასალებიდანაც ხვდება.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ტყვიით მოწამვლის შემთხვევები მთელ მსოფლიოში გვხვდება, თუმცა განვითარებად ქვეყნებში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა - ასეთ ქვეყნებში ბავშვებში აღრიცხული გონებრივი ჩამორჩენილობის 15-20 პროცენტი უკავშირდება სისხლში ტყვიის დონის მომატებას, ტყვიით მოწამვლის ძირითად წყაროებს შორის კი, პირველ რიგში, სახელდება ტყვიის შემცველი საღებავები, რომლებსაც სახლებში საყოფაცხოვრებო მიზნით იყენებენ, ტყვიით დაბინძურებული ნიადაგი, ტყვიის შემცველი საკვები, სამკაულები და პარფიუმერული ნაწარმი, ტყვიით დაბინძურებული ჰაერი და სხვა.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანახმად, ატმოსფერული ჰაერი ტყვიით დაბინძურებული არ არის - ქვეყანაში ტყვიაშემცველი ბენზინის მოხმარება 2005 წლიდანაა აკრძალული და, შესაბამისად, მანქანების გამონაბოლქვი ჰაერს ტყვიით არ აბინძურებს. შეზღუდულია ასევე ტყვიისა და მისი ნაერთების გამოყენება კოსმეტიკურ და საკვებთან კონტაქტში არსებულ მასალებსა და ნაკეთობებში. ტყვიით მოწამვლის პოტენციური წყაროების აღმოჩენა და შესწავლა განსაკუთრებით აქტუალური გახდა ბოლო წლებში, როდესაც, ცალკეულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, პრობლემა თვალსაჩინო გახდა.

ტყვია პირველ რიგში ნერვულ სისტემაზე მოქმედებს, ბავშვებში ინტელექტის შემცირებას, ინტელექტის კოეფიციენტის დათრგუნვას იწვევს. ტყვიის მომატებული კონცენტრაციის გამო, შესაძლოა, ბავშვი უფრო ჰიპერაქტიური გახდეს, შემეცნების უნარი უფრო დაუქვეითდეს. ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე გავლენა არ არის ტყვიის

ზემოქმედების ერთადერთი შედეგი. ტყვია ლაგდება ძვლებში, რაც ზოგადად მეტალებისთვისაა დამახასიათებელი. მას ასევე გააჩნია დაგროვების უნარი და შესაძლოა გამოვლინდეს ექსტრემალურ სიტუაციაში. ბავშვებს, რომლებსაც ტყვიასთან აქვთ შეხება, შესაძლოა, ისეთი ძვალსახსროვანი სისტემა არ ჩამოუყალიბდეთ, როგორც საჭიროა.

ტყვია, ვერცხლისწყალი, კადნიუმი, ნიკელი-ეს იმ ნივთიერებების არასრული ჩამონათვალია, რომელიც „მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ელიმინაციის გლობალურმა ქსელმა“ (IPEN) ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სათამაშოების უსაფრთხოების შემოწმებისას აღმოაჩინა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საყურადღებო საკითხია ის, რომ ტყვიით მოწამვლას მყისიერი ეფექტი არ აქვს, რადგან მოწამვლა ქრონიკულად მიმდინარეობს. სხვა მეტალებსაც თითქმის ანალოგიური თვისებები აქვს. მაგალითად, ვერცხლისწყალი-ის რეპროდუქციულ დარღვევებს იწვევს. ვერცხლისწყალს ძალიან ბევრი კოსმეტიკური საშუალებაც შეიცავს, მათ შორის, საბავშვო კრემები და ა.შ.

პროფილაქტიკური ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ინგა ღვინერიას თქმით, ბავშვების ორგანიზმში ტყვიის დადგენილი ნორმაა 10 მიკროგრამი/დეცილიტრში. გარემო ზემოქმედება კი იმდენად კომბინირებულია, რომ ბავშვებმა ტყვია შესაძლოა, სათამაშოსთან ერთად სხვა გზითაც მიიღონ.

„იმ შემთხვევაში, თუ სისხლში ტყვიის შემცველობა დასაშვებ ნორმაზე 2-ჯერ და 3-ჯერ მეტია, თანდათანობით ხდება კლინიკური ნიშნების გამძაფრება. ბავშვი შეკითხვებს სათანადოდ ვერ პასუხობს, სკოლაში ჩამორჩება, ასევე აქვს ინტელექტის დაქვეითების ნიშნები. თანდათანობით თავს იჩენს ისეთი დაავადებები, როგორცაა-ანემია და ა.შ. შესაძლოა, ბავშვი კრუნჩხვებამდეც მივიდეს, -ამბობს ღვინერია.

პლასტმასის სათამაშოებიც არ არის დაზღვეული მავნე ზეგავლენისგან, რადგან ისინიც შეიცავს მავნე ნივთიერებებს. პლასტმასის სათამაშოებში გამოყენებულია დამარბილებელი და ელასტიკურობის მიმცემი დანამატები, რომლებიც ჯანმრთელობაზე ძალიან ცუდად მოქმედებს; კარცეროგენამდე მიდის საქმე, ასევე მოქმედებს ესტროგენებზე (ჰორმონი, რომელიც არეგულირებს ქალის რეპროდუქციულ სისტემას) .

სათამაშოების საღებავები უნდა იყოს მეტად მდგრადი და არ იხსნებოდეს ნერწყვის შეხებაზე. აუცილებლად უნდა გამოიყენებოდეს კვების მრეწველობისთვის განკუთვნილი საღებავები, არ უნდა ჰქონდეს სპეციფიკური სუნი, რომ არ გამოიწვიოს გარკვეული მოწამვლითი პროცესები.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის აზრით, პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის მიხედვით, ზოგადად, ბაზარზე განთავსებული პროდუქცია უნდა იყოს უსაფრთხო, მაგრამ დირექტივა ამბობს იმასაც, რომ ამას უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო, ბაზრის ზედამხედველობა,

ანუ კონტროლდებოდეს, თუ რამდენად სრულდება ამ დირექტივის მოთხოვნები. მიუხედავად „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსში არსებული ჩანაწერისა, რომ „მწარმოებელი ვალდებულია, ბაზარზე განათავსოს მხოლოდ უსაფრთხო პროდუქტი“, კოდექსში აღარ არის განსაზღვრული ვინ უნდა გააკონტროლოს აღნიშნული აქტი.

სწორედ ამიტომ კოდექსს სჭირდება დახვეწა და ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად ცვლილება.

არსებული შედეგების პრევენციისაზთვის ყველაფერი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით უნდა მოწმდებოდეს, იცავენ თუ არა მწარმოებლები კანონის მოთხოვნას. ეს ეხება ყველა პროდუქციას და არა მხოლოდ სათამაშოებს.

2.4 მეორადი სათამაშოების ბიზნესი საქართველოში

მეორადი მოხმარების სხვადასხვა პროდუქტი (ტანსაცმელი, ავეჯი, ავტომობილი, საბურავი) ადგილობრივ ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნადი და შესაბამისად მომგებიანი ბიზნესია, რასაც განაპირობებს მომხმარებლისთვის ხარისხიანი პროდუქტის ხელმისაწვდომობა.

ერთ-ერთი ასეთი პროდუქტი კი, ჯერ კიდევ არც ისე გავრცელებული და პოპულარული მეორადი სათამაშოებია. განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ წარმატებულ ბიზნესად მიჩნეული სექტორი, როგორც ირკვევა ქართულ ბაზარზე ჯერჯერობით არც ისე მოთხოვნადია, თუმცა პერსპექტივები არსებობს.

საქართველოში სათამაშოების ბაზარზე არც თუ ისე ბევრი მეორადი სათამაშოების მაღაზიაა, რასაც განაპირობებს მომხმარებელთა სპეციფიკურობა. მყიდველი ხშირად სათამაშოს შეძენის დროს ვერ აცნობიერებს პროდუქტის ხარისხს. ამიტომ უპირატესობას ანიჭებს ახალ პროდუქტს, რომლის შემცველობის შესახებ არ ფლობს ინფორმაციას. შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში მეორადი სათამაშოების ბიზნესი არა მომგებიანია, თუმცა აღნიშნულ ბაზარზე ბევრად ხარისხიანი პროდუქტის შეძენა შესაძლებელია.

მეორადი სათამაშოების ბიზნესი ძალიან წარმატებულია ამერიკასა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, რადგან კანონი მწარმოებელს უსაფრთხო და ხარისხიანი სათამაშოს წარმოებას ავალდებულებს. გამომდინარე იქიდან, რომ ხარისხიანი სათამაშო ღირს ძვირი, ალტერნატივად მომხმარებელი სწორედ მეორადი სათამაშოების მაღაზიას

მიმართავს.¹⁶(„განვითარებულ ქვეყნებში მეორადი სათამაშოების მომგებიანი ბიზნესი ადგილობრივ ბაზარზე წამგებიანია“, 14 მაისი, 2018 წელი)

ხარისხიანი სათამაშოს არჩევა საქართველოში არც ისე მარტივია, არსებულ რეალობაში კი ბევრი მშობლისთვის კარგი გამოსავალია მეორადი, ევროპის ქვეყნებიდან და ამერიკიდან ჩამოტანილი სათამაშოების მაღაზიები, რომელთა ნაწილი ინტერნეტშიც არის წარმოდგენილი და მომხმარებელს სასურველ ხარისხიან პროდუქციას მისაღებ ფასად (და რიგ შემთხვევებში ადგილზე მიტანის სერვისსაც) სთავაზობს.¹⁷

2.5 საინფორმაციო კამპანია_“უსაფრთხო სათამაშო“

საქართველოს ბაზარზე სათამაშოების უსაფრთხოებისა და მონიტორინგის კუთხით არსებული მძიმე მდგომარეობის გამო, საქართველოს სახალხო დამცველმა 2017 წლის 1 ივნისიდან დაიწყო საინფორმაციო კამპანია - „უსაფრთხო სათამაშო“.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, მიმდინარე წლის ივნისისა და ივლისის თვეებში სამუშაო შეხვედრები გაიმართა აღნიშნულ თემაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ქიმიკოსებთან, ფსიქოლოგებთან, სოციალური დაცვის სამსახურის მუშაკებთან.

სათამაშოს, რომელსაც ფსიქოლოგები „ფსიქიკის ვიტამინსაც“ კი ეძახიან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის გონებრივი და ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით, ამ პროცესში კი უსაფრთხო სათამაშოს მიგნება დიდ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ქართულ ბაზარზე არსებულ პროდუქციას არ ახლავს ნივთიერებების შემცველი ანოტაცია და შერჩევა მხოლოდ ფასის მიხედვით ხდება.¹⁸

კამპანიის ფარგლებში დაგეგმილია ღონისძიებები სათამაშოების წარმოებისა და მიწოდების ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმის შექმნის ადვოკატირების, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბაზრის მოწესრიგების, ბიზნესსექტორის

¹⁶ „განვითარებულ ქვეყნებში მეორადი სათამაშოების მომგებიანი ბიზნესი ადგილობრივ ბაზარზე წამგებიანია“, 14 მაისი, 2018 წელი, <https://commerciant.ge/ge/post/ganvitarebul-qveynebshi-meoradi-satamashoebis-momgebiani-biznesi-adgilobriv-bazarze-wamgebiania>

¹⁷ „მეორადი სათამაშოების მაღაზიები თბილისში <https://at.ge/2018/03/25/meoradi-satamashoebi/>

¹⁸ უსაფრთხო სათამაშო - ომბუდსმენის ოფისში სამუშაო შეხვედრა გაიმართა , 24 ივნისი 2017, <http://www.newposts.ge/?l=G&id=144393>;

პასუხისმგებლობის განსაზღვრისა და მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.¹⁹

ერთი შეხედვით სრულიად უწყინარ ნივთებსაც შეუძლიათ დიდი და მავნებელი ზეგავლენის მოხდენა. მით უფრო, თუ საქმე ბავშვებს ეხება, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიარე არიან მიმდინარე მოვლენებისა თუ საგნების მიმართაც, რომელსაც ხშირად იყენებენ ყოველდღიურად. მათ შორისაა საბავშვო სათამაშოები, რომელსაც მეცნიერული დასკვნების მიხედვით, დიდი როლი აკისრია ბავშვების გონებრივი განვითარებისა და გაძლიერების საქმეში. თუმცა გარდა ფსიქოლოგიური ზეგავლენისა, სათამაშოების სწორად შერჩევა, ჯანმრთელობის დაცვის ერთერთი წინაპირობაცაა.

ბავშვები პირით ეხებიან სათამაშოებს, იკვლევენ მას, შემეცნების ინსტიქტით მჭიდროდ ეკონტაქტებიან ნებისმიერი ფორმის თუ ფერის გასართობ საგანს, მათი უვნებლობა კი აუცილებლად უნდა იყოს გაკონტროლებული, რათა ჩვენი შვილები დავიცვათ.

„წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განსაზღვრონ შესაბამისი ორგანოების ამოცანები... მათ ზომები უნდა მიიღონ ნებისმიერ პროდუქტზე, რომელიც შესაძლოა, ადამიანს საფრთხეს უქმნიდეს; გონივრულ ვადაში მისცენ გაფრთხილება რისკის არსებობის შესახებ.“ – ეს არის ამონარიდი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთერთი მუხლიდან, რომელიც პროდუქტის უსაფრთხოების ზოგად დირექტივებს მოიცავს. ამ პუნქტის თანახმად, ჩვენს ქვეყანას ევალება შესაბამისი ორგანოების შექმნა ბაზარზე არსებული პროდუქციის, მათ შორის სათამაშოების უსაფრთხოების შესასწავლად და შესაბამისი ზომების მისაღებად, რათა მავნე შედეგები თავიდან იქნეს აცილებული. თუმცა დღემდე არ არის შესრულებული ეს პუნქტი, საკითხის მნიშვნელობა კი კიდევ უფრო აქტუალური ხდება და არც საშიშროებები აყოვნებს .

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პროდუქციის ზოგადი უსაფრთხოების დირექტივის მიხედვით, ბაზარზე განთავსებული პროდუქცია უნდა იყოს უსაფრთხო. მაგრამ დირექტივა ამბობს იმასაც, რომ ამას უნდა აკონტროლებდეს სახელმწიფო.

ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის მისაღებად რთული გზის გავლა მოუწევს ქვეყანას. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ევროპის ქვეყნების დახმარებას, მათ ჩართულობას საქართველოში საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის პროცესში, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბოლოო შედეგი მალე დადგება და კონტროლის მექანიზმებიც ეფექტური იქნება.

¹⁹ საინფორმაციო კამპანია უსაფრთხო სათამაშო, 1 ოქტომბერი 2017, <http://mediamall.ge/new/48060-sainformacio-kam-pania--/usaftrtkho-satamasho/-gaimarta>;

სათამაშოების უსაფრთხოების სტანდარტებისა და ბაზრის კონტროლის მექანიზმების შესაქმნელად ქვეყანას რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა მოუწევს. პირველ რიგში უნდა შეიქმნას ან უკვე არსებულ რომელიმე სახელმწიფო უწყებას დაევალოს მონიტორინგის/კონტროლის ფუნქცია. შემუშავდეს საკანონმდებლო ბაზა, დადგინდეს უსაფრთხოების ნორმები, გაიწეროს ინსტრუმენტული მექანიზმები და ა.შ. რაც თავისთავად დროში გაწელილი პროცესია და შედეგი არაერთი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო უწყების თანამშრომლობით უნდა იქნას მიღწეული.

სათამაშოების მავნე ზეგავლენის საშიშროებასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ბავშვთა თემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ შორისაა ამ საკითხებზე მომუშავე საინიციატივო ჯგუფი „ბავშვთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი“.²⁰

ადამიანის განვითარების ფიზიკური, კოგნიტური (ანუ შემეცნებითი) და ფსიქოსოციალური სფეროებიდან, ბავშვის ფიზიკურ განვითარებაში, სენსორული და მოტორული უნარების სტიმულირებისთვის, სათამაშოს ერთ-ერთი წამყვანი როლი აქვს. შესაბამისად, ასეთი მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვის მქონე ნივთი, არათუ სასურველი, არამედ, აუცილებელიც კია, იყოს ეკოლოგიურად სუფთა და უსაფრთხო.

სათამაშოების მწარმოებელი კომპანიებიც ამ მიმართულებით უნდა პოზიციონირებდნენ ბაზარზე და ბავშვებისთვის უვნებელი პროდუქტის შეთავაზებაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

2017 წელს ქართულ ბაზარზე გამოჩნდა ხის სათამაშოების მწარმოებელი ქართული კომპანია „ოკიტი“, რომელიც დამზადებულია 100%-ით ნატურალური მასალისგან. აღნიშნული პროდუქცია გამოირჩევა გამძლეობით ცვეთისა და დაზიანებების მიმართ და შესაძლებელია გადაეცეს თაობიდან თაობას. სათამაშოს თითოეული დეტალის ზომა და რაოდენობა საგულდაგულოდ არის შერჩეული და გათვალისწინებულია კოორდინაციის, სივრცითი აზროვნებისა და ფანტაზიის უნარის განვითარებისათვის. კუბიკების თითოეული დეტალი დამატებით დამუშავებულია ხელით და მისი მომრგვალო კუთხეები, კიდები უსაფრთხოა ბავშვისთვის.²¹

„ოკიტი“-ს დამფუძნებლის, გიორგი ჭახრაკაის აზრით, მსოფლიოში ყველაზე უსაფრთხო სათამაშო არის ის, რომელსაც მამა თავისი ხელით უკეთებს (გამოუთლის) შვილებს.

²⁰ „რამდენად უსაფრთხოა საბავშვო სათამაშოები?!“ - (ანა ურუშაძე, 6 მარტი 2019, <http://www.ttimes.ge/archives/101217>)

²¹ ქართული ხის სათამაშო, <http://www.okiti.ge/>

თბილისის მაღაზიებში არ არის იოლი მცირეწლოვანი ბავშვისთვის გარანტირებულად უსაფრთხო სათამაშოს შეძენა. კომპანია „ოკიტი“ არ არის ორიენტირებული უხარისხო და იაფფასიანი უცხოური კომპანიების კონკურენტი გახდეს. მისი დამფუძნებლის აზრით, ხის სათამაშო არ ნიშნავს აუცილებლად უსაფრთხო სათამაშოს. ევროკავშირის ნორმების მიხედვით, მთავარი კრიტერიუმები მექანიკური დაზიანების მიყენების ალბათობა და ლაკისა და საღებავის შემცველობის უვნებლობაა. ადგილობრივ ბაზარზე არსებული უცხოური ხის სათამაშო შეიძლება დამზადებული იყოს დაპრესილი ხის მასალისგან, რომელსაც ასევე ურევენ გაურკვეველი წარმოშობის სხვა ნივთიერებებსაც. „ოკიტი“-ს პროდუქტში არ არის გამოყენებული არც ლაკი და არც საღებავი. გიორგი ჭახრაკია თვლის, რომ კარგად დამუშავებული ხის ზედაპირი ლაკისა და საღებავის გარეშე უფრო ბუნებრივია და სასიამოვნოა ბავშვისათვის, არ აქვს სპეციფიკური სუნი და ა.შ. თუმცა ხესთან უფრო მეტი მუშაობაა საჭირო. ამიტომაც, მათი სათამაშოს თითოეული დეტალი დამატებით მუშავდება ხელით და ასე იღებს დასრულებულ სახეს. სათამაშოების დასამზადებლად იყენებენ მხოლოდ წიფელს.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიფელი ბუნებრივად უვნებელია და შეუძლებელია, რომ შეიცავდეს რაიმე მავნე ნივთიერებებს. „ოკიტი“-ს მთავარი პრინციპი – ბავშვის უსაფრთხოებაა.²²

2.6 კომპიუტერული თამაშების გავლენა ბავშვთა განვითარებაზე

კომპიუტერული თამაშები ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის წინ გავრცელდა. ამის შესაბამისად გაჩნდა კითხვა თუ რა როლს ასრულებს ეს თამაშები მოზარდებში. გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ცხოვრებაში ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, ასე რომ კომპიუტერულმა თამაშებმა შეიძლება როგორც დადებითად, ასევე უარყოფითად იმოქმედოს. მისი სასიკეთო თუ საზიანო თვისებების შესახებ შეიძლება საერთო დასკვნების გამოტანაც. უფრო ხშირად ბავშვები სპორტული თამაშებით არიან გატაცებულნი. მათ თავი გაიგივებული ჰყავთ მოქმედ გმირებთან. დამარცხებას ვერ ეგუებიან და ხდებიან აგრესიულნი. ეს მდგომარეობა მათ ცხოვრებაშიც ხვდებათ. არიან აგრესიულნი, ეჩხუბებიან თანატოლებს. სკოლებში მომრავლდა ცემისა და დაჭრის ფაქტები, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ფსიქიკაზე. აქ აუცილებელია უფროსების ჩარევა, უნდა განუმარტოთ მოზარდებს, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. უკეთესია ითამაშონ შემეცნებითი თამაშები, რაც მათზე დადებითად აისახება.

²² („როგორია უსაფრთხო სათამაშო და რატომ შეიქმნა ხის სათამაშოების ქართული კომპანია “OKITI!”“, 19 ოქტომბერი 2017, <https://www.marketer.ge/okiti-wiflis-satamasho/>)

არანაკლებ მნიშვნელოვანი სოციალური ფაქტორია ის, რომ კომპიუტერულ თამაშებში გარშემო მყოფებზე ზრუნვა აუცილებლობას აღარ წარმოადგენს. ყველაზე ხშირად მოთამაშე მხოლოდ თვითონ მოქმედებს და გარშემო მყოფებს ვერც კი ამჩნევს, ისინი აღიქმებიან უბრალო დეკორაციებად. ეს ფაქტი კი სკოლანდელი ასაკის ბავშვებში ეგოიზმს აჩენს.

კომპიუტერული თამაშები ითხოვს უნარ-ჩვევებს, ლოგიკურ აზროვნებას, კარგ მახსოვრობას. კომპიუტერული თამაშები გარკვეულწილად ეხმარება უცხო ენის შესწავლაში. მისი დადებითი მხარეებია: კოორდინაციის განვითარება, გადაწყვეტილებების მიღება, რეაქციის სისწრაფე. ასევე, ეხმარება ბავშვებს ისწავლონ სივრცეში სწრაფად ორიენტირება, კომპიუტერული თამაშში ეხმარება ბავშვს განსხვავებული სიტუაციიდან გამოსვლაში. ის შეიძლება ბავშვს დაეხმაროს ტკივილთან და ავადმყოფობასთან გამკლავებაში. ბევრი ნეიროქირურგი აღნიშნავს, რომ ოპერაციის შემდგომ სწრაფი გამოჯანმრთელებისთვის სასარგებლოა კომპიუტერული თამაშებით თითების გავარჯიშება.

დღესდღეობით არსებობს ვირტუალური მოთამაშეების კლუბები და, შესაძლებელია, რომ ინტერნეტის საშუალებით ეთამაშო სხვა, თუნდაც უცნობ ადამიანს. ამგვარად, შესაძლებელია ნაცნობობის დამყარება და შეხედულებების გაზიარება დედამიწის სხვადასხვა წერტილში.

კომპიუტერულ თამაშებზე შეიძლება სხვადასხვა განსხვავებული აზრი არსებობდეს, მაგრამ დღესდღეობით ის ქართველი ბავშვის მთავარი გასართობი და საზრუნავია.²³


ინტერნეტ სათამაშოები (The Internet of Toys (IoToys)) ინტერნეტის გარკვეული ნაწილს შეადგენს, თუმცა დიფუზია ინტერნეტთან დაკავშირებული თამაშების ყოველწლიურად იზრდება.

სათამაშოების ინტერნეტ სამყარო მოიცავს პროგრამული უზრუნველყოფის ჩართულ სათამაშოებს, რომლებიც:

1. დაკავშირებულია ონლაინ პლატფორმებთან WiFi- ს და Bluetooth- ს მეშვეობით;
2. აღჭურვილია სენსორებით;
3. ბავშვებთან დაკავშირება;

²³ „სასარგებლო ინფორმაცია მშობლებისთვის“, ქეთევან ოდიშარია, 21 მაისი 2019, <http://kids.ge/articles/>.

ცხრილი 3. ინტერნეტ სათამაშოების სამყარო



ცნება "ჭკვიანი" შეიძლება დაკავშირებული იყოს არა მხოლოდ ინტერაქტიულ სათამაშოებისთან, არამედ ზოგადად საგანმანათლებლო სათამაშოებთანაც. თუმცა, "ჭკვიანი სათამაშო" უფრო ფართო და მიღებული დევიზიაა, რომელიც მოიცავს ელექტრონულ მოწყობილობებს, მიკროპროცესორებს, რომლებიც აკონტროლებენ პროგრამულ უზრუნველყოფას, რაც ხელს უწყობს მომხმარებელთან. ჩვეულებრივი ჭკვიანი სათამაშოები იყენებენ ბორტ ტექნოლოგიას ბავშვებთან ინტერაქციაში.

ბავშვებსა და მედიას შორის ურთიერთობა ტრადიციულად კონცეპტუალიზებულია, როგორც ერთი შრომატევადი მედია შინაარსი, მაგრამ თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უფრო მეტად დინამიური და ინდივიდუალურია. ინტერნეტი და ციფრული ტექნოლოგიები ტრადიციულ საზღვრებს კერძო და საჯარო სფეროს შორის ნაკლებად განსხვავდება.²⁴

²⁴ „ინტერნეტ სათამაშოები“, ლისაბონის უნივერსიტეტი, 2017 წელი, ავტორი: რიტა ბრიტო https://www.researchgate.net/publication/318094854_The_Internet_of_Toys_A_Report_on_Media_and_Social_Discourses_around_Young_Children_and_IoTo)

თავი 3. საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულების კვლევა

3.1 კვლევის მეთოდოლოგია

მარკეტინგული კვლევა არის გარე სამყაროსთან კომპანიების დამაკავშირებელი საქმიანობა, რომელიც მარკეტოლოგს მმართველობითი საქმიანობის განხორციელებაში ეხმარება. ამ პროცესში ხდება გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და ახსნა, რათა შემდგომ მოხდეს მისი გამოყენება მარკეტინგული გადაწყვეტილების მიღებისას.

კვლევის ეტაპი შედგება მოსამზადებელი, ძირითადი კვლევის, მონაცემების დამუშავების და ანალიზის ეტაპისგან. მისი შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად არის დაგეგმილი კვლევა, ამიტომ, შერჩეულია ისეთი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფდა მაქსიმალური ინფორმაციის მიღებას მოკლე დროში და რაც მთავარია, მაქსიმალური ხარისხით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

პირველადი მონაცემების შეგროვებამდე ჩავატარე საძიებო მარკეტინგული კვლევა. მოვიძიე მეორადი ინფორმაცია, რომელიც დამეხმარა ჰიპოთეზებისა და კვლევის მიზნების ჩამოყალიბებაში. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ჩამოვაყალიბე შემდეგი ჰიპოთეზები:

H1.საბავშვო სათამაშოების ბაზარი საქართველოში კანონმდებლობით არ რეგულირდება;

H2.საბავშვო სათამაშოებში არსებული მავნე ნივთიერებებისა და მისგან გამოწვეული შედეგების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერება დაბალია;

H3.მომხმარებელთა ინფორმირების ზრდა ხელს შეუწყობს საბავშვო სათამაშების უსაფრთხო მოხმარებას;

H4.უსაფრთხო სათამაშოების წარმოების პერსპექტივა ჯერჯერობით არ არსებობს საქართველოში;

H5.კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება ხელს შეუწყობს უსაფრთხო სათამაშოებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას;

პირველადი მონაცემების შეგროვების ყველაზე მნიშვნელოვან და გავრცელებულ მეთოდს მომხმარებელთა გამოკითხვა წარმოადგენს, რომელიც სტრუქტურული ანკეტის მეშვეობით რესპოდენტებისგან ინფორმაციის მიღებას გულისხმობს.

კვლევა ჩატარდა ინტერნეტის დახმარებით, კონკრეტულად google.doc.com-ის მეშვეობით. ინტერნეტ გამოკითხვის მთავარი უპირატესობა არის მისი მოქნილობა, რესპოდენტების მოძიების სიმარტივე და მიზნობრივი სეგმენტის მოკლე დროში არჩევის შესაძლებლობა, ასევე აღნიშნული მეთოდის დახმარებით შესაძლებელია ერთ ჯერზე ცალკეული ადამიანისგან დიდი რაოდენობის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა, ხშირად ეს მეთოდი ინფორმაციის მოპოვების ერთადერთი წყაროა.

ანკეტაში გამოვიყენეთ როგორც ღია, ასევე დახურული ტიპის კითხვები (კითხვა შესაძლო პასუხების ჩამონათვალით, რომელთაგანაც რესპოდენტი ირჩევს მისი აზრის ამსახველ პასუხს). დახურული ტიპის კითხვები მნიშვნელოვნად ამცირებს გამოკითხვის დროს, ამარტივებს მონაცემთა დამუშავების პროცედურებს. ასევე ამ ტიპის შეკითხვები მოსახერხებელია ნაკლებად გათვითცნობიერებული რესპოდენტებისთვისაც მოსახერხებელია. გარდა ამისა, დახურული კითხვები წინასწარ არის კოდირებული, ამიტომ პასუხების კომპიუტერში ასახვა ბევრად მარტივია. მიუხედავად დადებითი მხარეებისა დახურულ კითხვებსაც აქვს ნაკლოვანება. მაგალითად, რესპოდენტს, რომელსაც საკვლევი საკითხის ირგვლივ არ აქვს საკმარისი ინფორმაცია შეუძლია ბრმად შემოხაზოს რომელიმე ვარიანტი.

კითხვარში გამოყენებულია ფრენსის ლიკერტის მიერ შემუშავებული 5 ბალიანი სკალა და დახურული კითხვის რამოდენიმე ფორმა მათ შორის:

- შეფასების სკალა, რომლის მიზანიც არის დაადგინოს რამდენად ეთანხმება ან არ ეთანხმება რესპოდენტი გარკვეულ აზრს;

- რანჟირების სკალა, სადაც რესპონდენტებმა უნდა განსაზღვრონ გარკვეული შეხედულებების რანჟირება ყველაზე მნიშვნელოვანსა და ყველაზე უმნიშვნელოს მიმართულებით;

კითხვარში ასევე გამოყენებულია ღია ტიპის კითხვები, რომელიც საშუალებას აძლევს რესპონდენტს ზუსტად ისეთი პასუხი გასცეს, როგორც მას თავად სურს. შესაბამისად, ასეთი ტიპის შეკითხვა იძლევა თვითგამოხატვის შესაძლებლობას, რაც დეტალური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულის კვლევის კითხვარი დაყოფილია 3 ბლოკად:

- ბლოკი 1. რესპოდენტთა დამოკიდებულება საბავშვო სათამაშოების მიმართ და მათი ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა;

- ბლოკი 2. საბავშვო სათამაშოების შეძენაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და მომხმარებელთა დამოკიდებულება საქართველოში სათამაშოების ბაზრის შესახებ;

- ბლოკი 3. რესპოდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები; კითხვარი პირველი ბლოკი მოიცავს 10 შეკითხვას, მეორე ბლოკი 21 შეკითხვას, მესამე ბლოკში კი გაერთიანებულია ასევე 8 შეკითხვა.

გამოკითხული რესპოდენტები შერჩეულია შემთხვევითი შერჩევის გზით და მათთან ურთიერთობის ძირითად პლატფორმად გამოყენებულია სოციალური ქსელები (facebook, instagram). რესპოდენტებთან კონტაქტის გასამარტივებლად მათ დაეგზავნათ ანკეტის ელექტრონული ვერსია.

საკითხის სპეციფიკურობიდან გამომდინარე კვლევაში მონაწილეობის მსურველთა მოძიება საკმაოდ რთული პროცესი აღმოჩნდა, თუმცა, მასში მონაწილეებისთვის ანკეტის კითხვები მარტივი და გასაგები აღმოჩნდა.

საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულის კვლევის სქემა შემდეგი სახით ჩამოვყალიბე:

- კვლევის სამიზნე ჯგუფი–საბავშვო სათამაშოების მომხმარებლები;
- კვლევის არეალი–საქართველო;

- შერჩევის ზომა–200;
- კვლევის მეთოდი–რაოდენობრივი აღწერითი კვლევა.

ანკეტა შეიცავდა 39 შეკითხვას (იხ. დანართი 1) და შედეგები მოცემულია დამრგვალებული პროცენტული სახით.


ჩატარებული კვლევის შედეგად მონაცემებია წარმოდგენილია ცხრილის სახით და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით წარმოვადგინე ანგარიში.

3.2 კვლევის შედეგები

ანკეტის პირველი ბლოკი_რესპონდენტთა დამოკიდებულება საბავშვო სათამაშოების მიმართ და მათი ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა აერთიანებდა 10 შეკითხვას.


კვლევის შედეგების მიხედვით მომხმარებელთა უმრავლესობა (51%) მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ყიდულობს საბავშვო სათამაშოებს.

დიაგრამა 3.1. რა სიხშირით ყიდულობთ საბავშვო სათამაშოებს?



კითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია საბავშვო სათამაშოების შეძენის დროს შემდეგი ფაქტორები: ფასი, ხარისხი, მწარმოებელი ქვეყანა რესპოდენტებს შეეძლოთ ძალიან მნიშვნელოვანსა და უმნიშვნელოს შორის გაეკეთებინათ არჩევანი.

დიაგრამა 3.2 თქვენი აზრით, საბავშვო სათამაშოების შექმნის დროს რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:



შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა უმეტესობისთვის (57%) პროდუქტის ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. თუმცა, მონაცემებს თუ გადავხედავთ მწარმოებელი ქვეყანა შესაძლოა აღმოჩნდეს საკმაოდ მნიშვნელოვანი (32,5%) ფაქტორი სათამაშოების შექმნის დროს. რაც შეეხება ფასს, გამოკითხულთა 8% თვლის, რომ ფასი ნაკლებად მნიშვნელოვანია შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.


მიუხედავად ასეთი შედეგებისა ბაზარზე საკმაოდ აქტიურად იყიდება დაბალ ფასიანი სათამაშოები, რომელზეც არც მწარმოებელი ქვეყანაა მითითებული და არც შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნებია აღნიშნული.

რესპოდენტთა უმეტესობისთვის ხარისხი მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუმცა ბაზარზე, რომ არსებობდეს ხარისხიანი პროდუქციის აქტიური მოთხოვნაც, მიწოდებაც შესაბამისი იქნებოდა, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ჩვენს ბაზარზე არსებულ ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების სიმრავლეს.

კითხვაზე, თუ საბავშვო სათამაშოების რომელი მახასიათებელია ყველაზე მნიშვნელოვანი რესპოდენტებს შეეძლოთ 5 ბალიანი სკალით შეეფასებინათ პროდუქტის:

უსაფრთხოება, გამძლეობა, ეკო მეგობრულობა, შესახედაობა და ღირებულება.

დიაგრამა 3.3. თქვენი აზრით საბავშვო სათამაშოების რომელი მახასიათებელია ყველაზე მნიშვნელოვანი?




შედეგების მიხედვით, აღმოჩნდა რომ გამოკითხულთა 66,5%-მა უმაღლესი შეფასება (5) მიანიჭა სათამაშოების უსაფრთხოებას. საინტერესოა, რომ რესპოდენტების 36%-მა ასევე მაღალი შეფასებით გამოარჩია სათამაშოების ეკო-მეგობრულობა.

თუმცა ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე გაყიდვადი პლასტმასის სათამაშოებია, რომელიც არც თუ ისე ეკო-მეგობრულია ჩვენი გარემოსთვის. სწორედ პლასტმასის ნარჩენების გამო ხმელეთსა თუ ოკეანეებში ყოველდღიურად უამრავი ცხოველი თუ ფრინველი იღუპება. რა თქმა უნდა, შედეგი მწვავეა ადამიანებისთვისაც. პლასტმასი ერთ-ერთ ის მასალაა, რომელიც ნიადაგში არ გაიწოვება, შესაბამისად მისგან გამოწვეული პრობლემები საკმაოდ მწვავე და აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოში.

გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილმა უპირატესობა მიანიჭა პროდუქტის შესახედაობას (31,5%) და ღირებულებას (25,5%). თუმცა, ადამიანთა ფსიქოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე ძნელია ყურადღება არ მიაქციო სათამაშოების შესახედაობას, განსაკუთრებით მაშინ თუ აღნიშნული პროდუქტის ვიზუალი გამოხატავს იმ პერსონაჟს/გმირს, რომლის ინტერესითაც არის ბავშვი შეპყრობილი.

კითხვაზე, თუ რომელი კატეგორიის სათამაშოების შეძენას ანიჭებენ უპირატესობას რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ არჩევანი გაეკეთებინათ შემდეგ პასუხებზე: ხის სათამაშოები, პლასტმასის სათამაშოები, ნაჭრის სათამაშოები და ელექტრონული სათამაშოები. აღნიშნული კითხვა შეიცავდა ღია პასუხსაც, რაც საშუალებას აძლევდა რესპოდენტს საკუთარი გამოცდილებისა და შეხედულებების მიხედვით ჩაეწერა ის პასუხი, რომელიც ჩამონათვალში არ იყო.


დიაგრამა 3.4. რომელი კატეგორიის სათამაშოების შეძენას ანიჭებთ უპირატესობას?



კვლევამ აჩვენა, რომ რესპოდენტთა 37% უპირატესობას ანიჭებს ხის სათამაშოებს, 29% – ნაჭრის, 16-16% პლასტმასისა და ელექტრონულ სათამაშოებს. გამომდინარე იქიდან, რომ კითხვა შეიცავდა ღია პასუხებსაც გაჩნდა ორი ახალი პასუხი მეტალისა და რეზინის სათამაშოები (0,5%).

შემდეგი კითხვის მიხედვით თუ რომელი მასალისგან დამზადებული სათამაშოა ბავშვის ჯანმრთელობისთვის ნაკლები საფრთხის შემცველი რესპოდენტებს შეეძლოთ პასუხების შემდეგი ვარიანტებიდან დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი: ხე, ქსოვილი პლასტმასი.

დიაგრამა 3.5. თქვენი აზრით, ბავშვის ჯანმრთელობისთვის რომელი მასალისგან დამზადებული სათამაშოა ნაკლები საფრთხის შემცველი?



გამოკითხულთა 66% თვლის, რომ ჯანმრთელობისთვის ნაკლებ საფრთხეს შეიცავს ხე, თუმცა, ამასთანავე 30% მიიჩნევს, რომ პლასტმასი საკმაოდ უსაფრთხო მასალაა. მხოლოდ 4%-ს ქსოვილი მიაჩნია ნაკლები საფრთხის მატარებლად.


პასუხების 1/3-ით, ცხადია რომ რესპონდენტთა ნაწილს არ აქვს გააზრებული ის საფრთხე, რაც შესაძლოა პლასტმასის მასალისგან იყოს გამოწვეული.

პლასტმასის სიმსუბუქის გამო მისგან დამზადებული პროდუქტი ერთი შეხედვით საკმაოდ უსაფრთხო გვეჩვენება ბავშვებისთვის და ხშირად აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლოა გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონიოს პროდუქტის შეძენის დროს. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს იმ მავნე ნივთიერებების არსებობა, რომელთაც შესაძლოა შეიცავდეს პლასტმასის სათამაშო.

რაც შეეხება ნაჭერს, მისგან დამზადებული სათამაშოებიც შეიძლება მავნებელი აღმოჩნდეს, რადგან აღნიშნულ მასალაზე ბაქტერიების განვითარების მეტი შანსი არსებობს.

შემდეგი შეკითხვის მიხედვით, რესპონდენტებს შეეძლოთ ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ თავიანთი ინფორმირებულობის დონე განესაზღვრათ 5 ბალიანი სისტემით.

დიაგრამა 3.6. როგორ შეაფასებდით ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ თქვენი ინფორმირებულობის დონეს?




შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობამ (47,5%) ნეიტრალურად (3) შეაფასა თავისი ინფორმირებულობის დონე, მაქსიმალური შეფასება 9.5%-მა დააფიქსირა, ხოლო მინიმალური 6,5%-მა.

ასეთი მაჩვენებელი მოწმობს იმას, რომ მოსახლეობას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ, რის გამოც რესპონდენტთა უმრავლესობა ვერ იღებს გადაწყვეტილებას რამდენად კარგად არის ინფორმირებული აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

შეკითხვაზე თუ საბავშვო სათამაშოებში არსებული რომელი მავნე ნივთიერებების შესახებ ფლობენ მომხმარებლები ინფორმაციას, შესაძლებელი იყო პასუხების შემდეგი ვარიანტების დაფიქსირება: ტყვია, კადნიუმი, ნიკელი , ვერცხლისწყალი, ფტალატი.

აღნიშნული შეკითხვა შეიცავდა ისეთ პასუხსაც , როგორც არის „მიჭირს პასუხის გაცემა“.

დიაგრამა 3.7. საბავშვო სათამაშოებში არსებული რომელი მავნე ნივთიერებების შესახებ ფლობთ ინფორმაციას?




შედეგების მიხედვით რესპონდენტთა 76%-სთვის ნაცნობი მავნე ნივთიერებაა ტყვია, თუმცა საკმაოდ მცირე რაოდენობამ (6%) თუ იცის ისეთი მავნე ნივთიერების შესახებ, როგორც არის ფტალატი. “სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით სწორედ ფტალატია ის მავნე ნივთიერება, რომელიც აღმოჩნდა შეძენილი სათამაშოების 99%-ის შემადგენლობაში.

პასუხების 13,5 %, სადაც დაფიქსირებულია “მიჭირს პასუხის გაცემა“, კიდევ ერთხელ მოწმობს საბავშვო პროდუქტებში არსებული მავნე ნივთიერებების შესახებ მომხმარებელთა ინფორმაციის ნაკლებობაზე.

შემდეგი შეკითხვა უკავშირდებოდა ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშან CE-ს, სადაც რესპონდენტებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი აღნიშნულ ნიშანზე ინფორმირებულობის დონის განსაზღვრისათვის პასუხების შემდეგი ვარიანტების ამორჩევით: მსმენია, არ მსმენია, მიჭირს პასუხის გაცემა.

დიაგრამა 3.8. გსმენიათ თუ არა რაიმე CE-ს შესახებ (ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშანი)



აღნიშნული შედეგების მიხედვით გამოკითხულთა 48,5%-მა დააფიქსირა, რომ არ სმენია CE-ს შესახებ, 32,5%-ს სმენია ნიშნის შესახებ, ხოლო 19,5%-მა თავი შეიკავა პასუხზე.


ასეთი შედეგი საკმაოდ მოსალოდნელი იყო ქართულ რეალობაში, რადგან, როგორც წესი მომხმარებელთა უმეტესობა ან არ აქცევს ყურადღებას პროდუქტზე დატანილ ნიშნებს, ან ნაკლებ ყურადღებას უთმობს. ამის შედეგად კი ვიღებთ ბაზარზე არსებულ უამრავ ნივთს, რომელიც საკმაოდ საშიშია ჩვენი და ჩვენს ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვის.

გამოკითხულთა საკმაოდ დიდ ნაწილს გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა, რაც დიდი ალბათობით გამოწვეულია ინფორმაციის სიმცირის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ 32,5%-ს სმენია ან შეუმჩნევია პროდუქტზე CE ნიშანი, ალბათ მცირე ნაწილმა თუ იცის მისი მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ.

შეკითხვაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები: CE ნიშანი, უსაფრთხოების ინსტრუქცია, გამფრთხილებელი ნიშნები, სათამაშოების შექმნის დროს რესპონდენტებს შეეძლოთ 5 ბალიან სკალაზე დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრებები.

დიაგრამა 3.9. გთხოვთ სკალაზე შეაფასოთ რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები სათამაშოების შექმნის დროს:



შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა უმეტესობამ (52,5%) სათამაშოების შეძენის დროს მაქსიმალური შეფასება მიანიჭა უსაფრთხოების ინსტრუქციას, შემდეგ გამაფრთხილებელ ნიშნებს(46%) და CE ნიშანს (29%).


პასუხების მიხედვით, რესპონდენტებს გაუჭირდათ CE ნიშნის შეფასების დროს გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისად 26,5%-მა თავი შეიკავა კითხვაზე პასუხის დაფიქსირებისგან.

ზოგჯერ მომხმარებლებს ავიწყდებათ რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია პროდუქტის ინსტრუქცია და გამაფრთხილებელი ნიშნები. კვლევებმა ბევრჯერ დაადასტურა, რომ სათამაშოებისგან მიღებული დაზიანებების უმრავლესობა გამოწვეული იყო ასაკისთვის შეუსაბამო სათამაშოების თამაშით. ამიტომ საყურადღებოა მომხმარებელმა სათამაშო შეიძინოს იმ ასაკობრივი კატეგორიისთვის განკუთვნილი სათამაშო, რა ასაკის ბავშვისთვისაც აპირებს მის შეძენას.

სათამაშოებზე ხშირად გვინახავს ნიშანი 0-3, რაც მიუთითებს იმას რომ არ შეიძლება 3 წელზე ქვემოთ ასაკის ბავშვისთვის მისი გამოყენება, რადგან შესაძლოა შეიცავდეს პატარა-პატარა ნაწილებს, რომელიც შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს ბავშვის ჯანმრთელობისთვის.

პირველი ბლოკის ბოლო შეკითხვა დაკავშირებული იყო სათამაშოების გლობალური ინდუსტრიის ლიდერ კომპანიებთან, სადაც რესპონდენტებს უნდა მოენიშნათ მხოლოდ ის კომპანიები, რომელთა შესახებაც ფლობდნენ ინფორმაციას.

დიაგრამა 3.10 გლობალური სათამაშოების ინდუსტრიის ლიდერებიდან რომელი კომპანიის შესახებ გსმენიათ?



კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობისთვის ცნობილია Lego-ს შესახებ, თუმცა მსოფლიო ბაზრის ლიდერი კომპანიების, როგორებიცაა Mattel, Namco Bandai და Hasbro საკმაოდ მცირე ნაწილს თუ სმენია და პროცენტული მაჩვენებელიც შესაბამისად 4,5%-სა და 9%-ს შორის მერყეობს. რესპონდენტთა 21,5%-ს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა.


კითხვა შეიცავდა ღია პასუხსაც, თუმცა გამოკითხულთაგან ვერც ერთმა შეძლო რომელიმე გლობალური სათამაშოების მწარმოებელი ჩამონათვალიდან განსხვავებული კომპანიის დასახელება.

მეორე ბლოკი: საბავშვო სათამაშოების შექმნაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და მომხმარებელთა ყიდვის ქცევის სპეციფიკა აერთიანებდა 21 შეკითხვას.

პირველი შეკითხვა ეხებოდა გამოკითხულთა დემოგრაფიულ ჯგუფში პასუხის დაფიქსირებას, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რესპონდენტებს უნდა გამოეტოვებინათ

შემდეგი 4 კითხვა, რადგან აღნიშნული კითხვები ეხებოდათ მხოლოდ იმ ადამიანებს, ვისაც პირველ კითხვაზე ექნებოდათ დადებითი პასუხი.


დიაგრამა 3.11. გყავთ თუ არა შვილი?



როგორც აღმოჩნდა გამოკითხულთა მხოლოდ 27.5% ჰყავს შვილი, ხოლო 72,5%-არა.


აღნიშნული პასუხები ემსახურებოდა შემდეგი კითხვის შედეგებზე მოქმედი ფაქტორის განსაზღვრას.

დიაგრამა 3.12. რამდენი შვილი გყავთ?




გამოკითხულთა იმ 27,5%-ს ვისაც ჰყავს შვილი აღმოჩნდა, რომ 36.2% ჰყავს ერთი, 39.1%-ს ორი, 15,9%-ს სამი და 8.7% ოთხი და მეტი შვილი.

დიაგრამა 3.13 დღეში რამდენ საათს უთმობს თქვენი შვილი სათამაშოებით თამაშს? (საშუალოდ)



კვლევის მიხედვით გამოკითხულთა შვილების უმრავლესობა (45,7%) სათამაშოებით თამაშს 1 საათზე ნაკლებ დროს უთმობს.


დიაგრამა 3.14. ყველაზე მეტად, როგორი სახის სათამაშოების მიმართ იჩენს თქვენი შვილი ინტერესს?



შედეგების მიხედვით, ბავშვების 54,2% ინტერესს იჩენს შემოქმედებითი ხასიათის სათამაშოების მიმართ, 15,3%-ს აინტერესებს კვლევითი სათამაშოები, 12,5%-ზე მეტი ყურადღებას უთმობს მანიპულაციურ სათამაშოებს, ხოლო 9,7% დაინტერესებულია წარმოსახვითი სათამაშოებით.

კითხვა ასევე შეიცავდა ღია პასუხსაც, რესპოდენტთა 2%-მა დააფიქსირა განსხვავებული აზრი და დაადასტურეს, რომ ხმოვანი სათამაშოები არის ის კატეგორია, რომელიც მათი შვილებისთვის ყველაზე საინტერესოა.

დიაგრამა 3.15. როგორ იქცევით იმ შემთხვევაში თუ თქვენი შვილის ძველი სათამაშო აღარ გესაჭიროებათ?



მიღებული შედეგების მიხედვით რესპოდენტთა უმეტესობა - 58,4% საწყობში ინახავს სათამაშოების იმ ნაწილს , რომელიც აღარ ესაჭიროებათ. 18,1% აღიარებს რომ ნაგავსაყრელზე აგდებს, 17,5% გააჩუქებს სიამოვნებით ნაცნობებთან, ხოლო მხოლოდ 6% ყიდის მოძველებულ ნივთს.


საბავშვო სათამაშოები ხშირად ვერ ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას, შესაბამისად შესაძლოა მშობელი თვლიდეს , საჭიროა მისი ნაგავსაყრელზე გადაგდება.

შედეგებში საკმაოდ მცირე პროცენტულობით გამოირჩევა იმ მშობელთა კატეგორია , რომლებიც გაყიდიან მეორად სათამაშოს.

როგორც წესი პლასტმასის სათამაშო 15-20 წელი რჩება მომხმარებელთა ოჯახებში. კითხვაზე პასუხებიდანაც ჩანს, რომ ხშირად ადამიანებს ურჩევიათ თავიანთი შვილების საყვარელი სათამაშოები შეინახონ საწყობში, თუნდაც შემდგომ მათივე შვილებისთვის სათამაშოდ.

შემდეგი შეკითხვა დაკავშირებული იყო საბავშვო სათამაშოების შეძენის ლოკაციასთან.

დიაგრამა 3.16. ძირითადად სად ყიდულობთ საბავშვო სათამაშოებს?



კვლევის მიხედვით რესპონდენტთა უმეტესობა 70,7% საბავშვო სათამაშოებს ყიდულობს სათამაშოების მაღაზიათა ქსელში, 14,6% ბაზრობაზე ამჯობინებს აღნიშნული პროდუქტის შეძენას, 9,2% აფთიაქში, ხოლო 4,5% ინტერნეტში.


გამოკითხულთა უპირატესი პასუხი დაკავშირებულია საზოგადოებაში საკმაოდ აქტიურად დამკვიდრებული მაღაზიათა ქსელების ნდობასა და არჩევანის სიმრავლეზე.

მიუხედავად აღნიშნულისა 14,6% სათამაშოებს ყიდულობს ბაზრობაზე, სადაც საკმაოდ დიდია იმის შანსი რომ ჯანმრთელობისთვის საკმაოდ საშიში პროდუქტი შეიძინოს მომხმარებელმა და რა თქმა უნდა, ნაკლები კონტროლის მექანიზმია.

9,2 პროცენტისთვის უპირატესია აფთიაქში შეძენილი პროდუქტი. ასეთი შედეგი განპირობებულია ფარმაცევტულ გარემოში შეძენილი პროდუქტის ნდობით. მომხმარებლები თვლიან, რომ რადგან სათამაშოს ყიდულობენ აფთიაქში ის აუცილებლად უნდა იყოს უსაფრთხო. კვლევებით მართლაც დადასტურდა, რომ აფთიაქში შეძენილი სათამაშო არ არის ჯანმრთელობისთვის საშიში. თუმცა, აღნიშნულ ობიექტზე მხოლოდ გარკვეული ასაკის ბავშვისთვის არის შესაძლებელი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.


გამოკითხულთა საკმაოდ მცირე ჯგუფი სათამაშოებს ყიდულობს ინტერნეტში. საკმაოდ გააქტიურდა საიტები, საიდანაც შესაძლებელია პროდუქტის გამოწერა, თუმცა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული რის გამოც მომხმარებლები თავს იკავებენ და ამჯობინებენ ადგილობრივ მაღაზიებში პროდუქტის შეძენას.

დიაგრამა 3.17. თქვენი აზრით, არის თუ არა უსაფრთხო ავთიაქში შეძენილი სათამაშო ბავშვის ჯანმრთელობისთვის?



შედეგების მიხედვით რესპონდენტთა უმრავლესობას (36,5%) არ აქვს ინფორმაცია თუ რამდენად უსაფრთხოა ავთიაქში შეძენილი სათამაშო , 28,5% თვლის, რომ უსაფრთხოა, 25,5%-ს გაუჭირდა აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა, დარჩენილი 9,5% კი მიიჩნევს , რომ ავთიაქში შეძენილი პროდუქტი არ არის უსაფრთხო .

დიაგრამა 3.18 საშუალოდ რა თანხის ფარგლებში ყიდულობთ სათამაშოებს?




შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა - 54,5%, სათამაშოებს 25-დან 50 ლარის ფარგლებში ყიდულობს, 26,5% 10-დან 25 ლარის ფარგლებში, 15%- 50 ლარი და მეტი, ხოლო დარჩენილი 4% - 1-დან 10 ლარამდე .

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ადვილია იმის თქმა რომ არც თუ ისე მცირე ოდენობის თანხის ფარგლებში ყიდულობენ რესპონდენტები სათამაშოებს. თუმცა აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა 72%-ს არ ჰყავს შვილი და 54% მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ყიდულობს ამ პროდუქციას. ამის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ რომ შეძენილი სათამაშო, რომელსაც უმრავლესობა 25-დან 50 ლარის ფარგლებში ყიდულობს არის საჩუქარი, რომელსაც მომხმარებელი მხოლოდ განსაკუთრებული სიტუაციებისთვის ყიდულობს.

ზემოთ განხილული მიზეზების გამო შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მშობლების მიერ შეძენილი ერთეული სათამაშოს ფასი უფრო ნაკლები ღირებულების იქნება, თუ ასევე გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ ფონს.


დიაგრამა 3.19 რომელ საინფორმაციო საშუალებებს ანიჭებთ უპირატესობას, როდესაც გსურთ მიიღოთ ინფორმაცია უახლესი სათამაშოების შესახებ?



დღევანდელ სწრაფად მზარდ მსოფლიოში ყველასათვის კარგად არის ცნობილი რამდენად დიდია ინტერნეტის როლი ინფორმაციის გავრცელების პროცესში. შესაბამისად, კითხვაზე ასეთი შედეგების მიღება მოსალოდნელი იყო. გამოკითხულთა 72,5% ინფორმაციას უახლესი სათამაშოების შესახებ ინტერნეტის დახმარებით იღებს. არ უნდა დაგვავიწყდეს სოციალური ქსელების მნიშვნელობა, რომელსაც კომპანიები საკმაოდ აქტიურად იყენებენ ახალი პროდუქტის, რეკლამებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთვის.

21-ე საუკუნეში ცხადია შემცირდა ტელევიზიის როლი აღნიშნულ პროცესებში თუმცა, გამოკითხულთა 11,5% მაინც ტელევიზიის დახმარებით იღებს ინფორმაციას. საბავშვო სათამაშოებზე რეკლამები საკმაოდ აქტიურად გადმოიცემა საბავშვო სატელევიზიო არხებზე (მაგ BBB), ამ შემთხვევაში კომპანიები მოქმედებენ არა მხოლოდ მშობელთა ინფორმირებულობაზე, არამედ თავად ბავშვთა ფსიქოლოგიასა და სურვილებზე.

დიაგრამა 3.20 როგორ შეაფასებდით ქართულ ბაზარზე არსებული საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოების ხარისხს?




აღნიშნულ კითხვაზე რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ ხუთ ბალიან სკალაზე შეეფასებინათ ქართულ ბაზარზე არსებული საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოების ხარისხი. თუმცა შედეგების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობამ (50,5%) ნეიტრალური პასუხი დააფიქსირა, რაც ცხადია გამოწვეულია ინფორმაციის ნაკლებობით.

რესპონდენტთა 28,5%-მა 2 ქულით შეაფასა ქართულ ბაზარზე სათამაშოების უსაფრთხოების ხარისხი, 13,5%-მა ყველაზე დაბალი შეფასება დააფიქსირა 1 ქულით, 6% -მა 4 ქულა დააფიქსირა, მხოლოდ 2 %-მა კი უმაღლესი შეფასებით უპასუხა კითხვას.

შედეგი ცხადყოფს მოსახლეობის დამოკიდებულებას საქართველოს ბაზარზე არსებული სიტუაციის შესახებ. მიუხედავად ამისა ბაზარი გაჯერებულია ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტით, რომლის უსაფრთხოებას არც ერთი ორგანო არ არეგულირებს.


დიაგრამა 3.21 თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში სათამაშოებისა და ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი?



შედეგების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობას (40%) უჭირს აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა 32% თვლის, რომ საქართველოში არ არსებობს სათამაშოებისა და ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი. რესპონდენტთა 21%-მა არ

იცის აღნიშნული საკითხის ირგვლივ რა მდგომარეობაა ბაზარზე. პასუხებმა აჩვენა, რომ მოსახლეობას არ აქვს ნდობა იმ პროდუქციის ხარისხის შესახებ, რომელიც ბაზარზე იყიდება. მართალია, გამოკითხულთა 7%-მა შეკითხვას დადებითად უპასუხა, მაგრამ საქართველოში ნამდვილად არ არსებობს მექანიზმი, რომელიც სათამაშოების ბაზარს დაარეგულირებს, გააკონტროლებს მათ ხარისხსა და უსაფრთხოებას.


დიაგრამა 3.22 ქართულ ბაზარზე რომელი სათამაშოების ბადაზიათა ქსელს გამოარჩევდით იმპორტირებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით?



რესპონდენტთა 26% მიიჩნევს, რომ ქართულ ბაზარზე საბავშვო სათამაშოების მაღაზიათა ქსელიდან, ხარისხიანი პროდუქციით გამოირჩევა „ჭიტა“. თითქმის თანაბარი შედეგები დაფიქსირდა „XS TOYS“-სა და „სუპერის“ შემთხვევაში.

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, მხოლოდ 5% თვლის, რომ მაღაზია „ცეროდენაში“ იყიდება ყველაზე ხარისხიანი პროდუქტი.


დიაგრამა 3.23 ქართულ ბაზარზე რომელი სათამაშოების მაღაზიათა ქსელს გამოარჩევდით იმპორტირებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით?



შედეგების მიხედვით, სათამაშოების მაღაზიათა ქსელი „ჭიტა“ საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებლებში. როგორც შედეგებიდან ირკვევა „ჭიტა“ გამოირჩევა არა მარტო ხარისხიანი პროდუქციით, არამედ ფასებითაც. სწორედ ამიტომ რესპონდენტთა 29%-მა პასუხი მის სასარგებლოთ დააფიქსირა.


პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით ფასების მხრივ მეორე ადგილზეა მაღაზია „სუპერი“, რომელიც გამოირჩევა სპეციალური ფასების შეთავაზებით, შესაბამისად მომხმარებელთა გულეებშიც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს.

დიაგრამა 3.24. როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ საბავშვო მაღაზიათა ქსელების ძირითად მოტივებს?



შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა (41,5%) მიიჩნევს, რომ საქართველოში არსებული საბავშვო მაღაზიათა ძირითადი მოტივი მოგების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვაა. 26% მიიჩნევს, რომ დადებითი იმიჯის შექმნა კომპანიებისთვის ძირითადი მოტივი, 23%-ის აზრით, მიმწოდებლები ზრუნავენ საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებაზე. 21,5% თვლის, რომ საბავშვო მაღაზიათა მოტივი მომხმარებელთა ლოიალურობის გაზრდაა, ხოლო დარჩენილი 9% მიიჩნევს, რომ კომპანიები ცდილობენ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქციის რეალიზაციას.


დიაგრამა 3.25 გთხოვთ სკალაზე შეაფასოთ ქართულ ბაზარზე მეორადი სათამაშოების ბაზრის განვითარების დონე



აღნიშნულ შეკითხვაზე რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ ხუთ ბალიან სკალაზე შეეფასებინათ ქართულ ბაზარზე მეორადი სათამაშოების განვითარების დონე. გამოკითხულთა უმეტესობამ (35,9%) განვითარების დონე საშუალოდ შეაფასა, 28,1% თვლის, საკმაოდ დაბალ დონეზეა. გამოკითხულთა მხოლოდ 5,7%-მა დააფიქსირა უმაღლესი შეფასება.


პასუხები ცხადყოფს მომხმარებელთა დამოკიდებულებას ზოგადად მეორადი პროდუქტის ბაზრის შესახებ.

დიაგრამა 3.26 საქართველოში არსებული რომელი მეორადი სათამაშოების მაღაზიის შესახებ გსმენიათ?




შედეგების მიხედვით „ნოეს სათამაშოების კილობანი“ გამოკითხულთა 43%-სთვის ყველაზე ნაცნობი მეორადი სათამაშოების მაღაზიაა. პროცენტულად მას მოჰყვება „სკუპი“ 34%-ით, 10%-ს სმენია „პილოტონის“ შესახებ, ხოლო დარჩენილ 13%-ს ან არ სმენია აღნიშნული ობიექტების შესახებ, ან უჭირთ კითხვაზე პასუხის გაცემა.

დიაგრამა 3.27. შეგიძენიათ თუ არა მეორადი სათამაშო?



პასუხების მიხედვით, გამოკითხულთა 72%-ს არასდროს შეუძენია მეორადი სათამაშო, ნაწილს (13,5%) უჭირს პასუხის გაცემა შეკითხვაზე, ხოლო დარჩენილი 14,5% აღნიშნა, რომ ერთხელ მაინც შეუძენია მეორადი საბავშვო სათამაშო.

აღნიშნულ კითხვაზე პასუხებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ საქართველოში არ არის განვითარებული მეორადი სათამაშოების ბაზარი. დიაგრამა 3.28 გთხოვთ სკალაზე შეაფასოთ საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოების/ობიექტების მნიშვნელობა:




რესპონდენტთა ნახევარი (50%) სახელმწიფოს აკისრებს საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას. 41,5% -ის აზრით, მწარმოებელი კომპანიები უნდა ზრუნავდნენ საბავშვო პროდუქტების უსაფრთხოებაზე, 28% თვლის, რომ იმპორტიორი კომპანიების მოვალეობაა ზემოთ აღნიშნული, 23,5% საცალო ობიექტებს აკისრებს პასუხისმგებლობას, ხოლო 36% პირველ ადგილზე აყენებს მყიდველთა მოვალეობას.

შედეგები არაერთმნიშვნელოვანია, რაც იმას ნიშნავს რომ საზოგადოება განსხვავებულად ფიქრობს პროდუქტის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების/ორგანოების შესახებ.


ცხადია, ბავშვებისთვის განკუთვნილი სათამაშოების უსაფრთხოებაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს და არ უნდა უშვებდეს ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის არათუ რეალიზაციას, არამედ წარმოებასაც კი.

დიაგრამა 3.29. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრება სათამაშოების რეალიზაციის პროცესში?



შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობა (54%) დარწმუნებულია, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრება მნიშვნელოვნად საჭირო და აუცილებელია სათამაშოების რეალიზაციის პროცესში. მხოლოდ გამოკითხულთა მცირე ნაწილს (6%) უჭირს კითხვაზე პასუხის დაფიქსირება ან არ იცის საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის მექანიზმის შემუშავება და ბაზრის კონტროლი.

დიაგრამა 3.30. თქვენი აზრით, ახდენს თუ არა გავლენას საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების არსებობაზე?




გამოკითხულთა უმეტესობა (44%) ცალსახად მიიჩნევს, რომ ეკონომიკური განვითარების დონე ძირითად ზეგავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების არსებობაზე. რესპონდენტთა 39% თვლის, რომ ეს გავლენა

ნაწილობრივია, 11% ეთანხმება ამ ზეგავლენის არ არსებობას, ხოლო დარჩენილი 6%-ს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ მიმდინარე მოვლენებზე, ასევე ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმზეც. თუმცა, მსოფლიოში ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქტების არსებობა და განვითარებული ქვეყნების მხრიდან მუდმივი ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ უშედეგოა, გვაფიქრებინებს, რომ მხოლოდ ეკონომიკური განვითარების დონე არ განსაზღვრავს აღნიშნულ მწვავე პრობლემას ქვეყნებში.

დიაგრამა 3.31 ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ საბავშვო სათამაშოების მაღალი ფასი განაპირობებს პროდუქციის მაღალ ხარისხს?




კითხვაზე პასუხისთვის რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ ხუთ ბალიან სკალაზე შეეფასებინათ თუ რამდენად განაპირობებს პროდუქციის მაღალი ფასი, მის მაღალ ხარისხს. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 50% ნეიტრალურად აფასებს აღნიშნულ მოსაზრებას, 21,5% ნაწილობრივ ეთანხმება თეზისს, ხოლო 13,5% უარყოფს.

მაღალი ფასი ყოველთვის არ ნიშნავს მაღალ ხარისხს. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მაღალხარისხიანი პროდუქტის შექმნას სჭირდება ისეთი მასალა, რომელიც არც თუ ისე იაფია. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროდუქტის მაღალი ფასი ნიშნავს მის მაღალ ხარისხს, თუმცა არა ყოველთვის.


მესამე ბლოკი: რესპოდენტთა სოციალურ -დემოგრაფიული მახასიათებლები აერთანებდა 7 შეკითხვას, პირველი კითხვა კი რესპოდენტთა ასაკის დადგენას ემსახურებოდა.

დიაგრამა 3.32. თქვენი ასაკი




შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობა (67%) 25 წლამდე ასაკის არის, 18% არის 25-35 ასაკობრივ კატეგორიაში, 8% 35-45 წლის, ხლო დარჩენილი 7% 45 წელს ზემოთაა.

დიაგრამა 3.33 სქესი




გამოკითხულთა უმეტესობა 80% მდედრობითი სქესის არის.

დიაგრამა 3.34 ოჯახური მდგომარეობა




შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობის ოჯახური მდგომარეობაა დასაოჯახებელი. გამომდინარე იქიდან, რომ რესპონდენტთა 67% 25 წელს ქვემოთაა აღნიშნული მაჩვენებელი მოსალოდნელი იყო.

დიაგრამა 3.35 თქვენი სოციალური სტატუსი




შედეგების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობა არის სტუდენტი 53%-იანი მაჩვენებლით, 38% არის დასაქმებული, ხოლო დარჩენილი პროცენტები გადანაწილდა დიასახლისზე, უმუშევარსა და პენსიონერზე.

დიაგრამა 3.36 დასაქმების სექტორი




დასაქმებული რესპონდენტთა 72% კერძო სექტორში მუშაობს, ხოლო დარჩენილი 28% საჯარო მიმართულებით.

დიაგრამა 3.37 თქვენი განათლება



შედეგების მიხედვით გამოკითხულთა უმეტესობას (68%) უმაღლესი განათლება აქვს მიღებული.

დიაგრამა 3.38 თქვენი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი



შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობისთვის ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი შეადგენს 1000-დან 2000 ლარის ოდენობას. დარჩენილი პროცენტები შემდეგი სახით გადანაწილდა: 32,8%-სთვის 500-დან 1000 ლარამდე, 25%-ის შემოსავალია 2000ლარი და მეტი, ხოლო დარჩენილი 7.2%-სთვის 500 ლარამდეა ყოველთვიური ბიუჯეტი.

აღნიშნული შეკითხვა ემსახურებოდა სათამაშოების შექმნაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრას.

დასკვნები და რეკომენდაციები

ჩემ მიერ ჩატარებული მარკეტინგული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია გამოვიტანოთ შემდეგი მნიშვნელოვანი თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები:

1. დღეს მსოფლიოში საკმაოდ მწვავედ დგას უსაფრთხო პროდუქციის წარმოების საკითხი და მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბავშვო სათამაშოების ხარისხს. არსებობს მრავალი მექანიზმი, რომელიც განვითარებულ ქვეყნებში ხელს უწყობს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას, თუმცა მიუხედავად ასეთი ძალისხმევისა საკმაოდ რთულია პროდუქტის უსაფრთხოების სრული დაცვა. განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით საქართველოში არა თუ არსებობს რაიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო სათამაშოების რეალიზაციას, არამედ სათამაშოების ბაზარი კანონმდებლობით არც კი რეგულირდება.
2. კვლევამ აჩვენა, რომ საბავშვო სათამაშოებში არსებული მავნე ნივთიერებებისა და მისგან გამოწვეული შედეგების შესახებ მოსახლეობის ცნობიერება საკმაოდ დაბალია. გამოკითხულთა თითქმის ნახევარმა (47,5%) ხუთ ბალიან სკალაზე ნეიტრალურად შეაფასა თავისი ინფორმირებულობის დონე ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ.
3. კვლევამ დაადასტურა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა (37%) უპირატესობას ანიჭებს ხის სათამაშოებს და ამასთანავე თვლის (66,5%), რომ ჯანმრთელობისთვის ნაკლები საფრთხის შემცველია. მართალია, ხის სათამაშო შესაძლოა იყოს ნაკლებად საშიში, მაგრამ აუცილებელია ისეთი მასალის საღებავებისგან იყოს შეღებილი, რომელიც უსაფრთხოა და ბავშვის ჯანმრთელობას არ შეუქმნის პრობლემებს.
4. შედეგებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობას სრულად არ აქვს ინფორმაცია იმ მავნე ნივთიერებების შესახებ, რომელიც შესაძლოა აღმოჩნდეს საბავშვო პროდუქტში, კერძოდ სათამაშოში. მათი უმეტესობისთვის (76,5%)

ცნობილია ტყვიის შესახებ, თუმცა არც თუ ისე ბევრმა იცის ისეთი ნივთიერებების შესახებ როგორებიცაა: ნიკელი, ვერცხისწყალი, კადნიუმი, ფტალატი, შესაბამისად რესპონდენტებს გაუჭირდათ შესაბამის კითხვაზე პასუხის გაცემა.

5. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა არ ფლობს ინფორმაციას CE-ს შესახებ, რაც გულისხმობს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას. მნიშვნელოვანია მომხმარებელთა ყურადღების გამახვილება გამაფრთხილებელ ნიშნებზე, უსაფრთხოების ინსტრუქციასა და CE-ნიშანზე. სათამაშოებისგან მიღებული დაზიანებების უმეტესობა გამოწვეულია ასაკისთვის შეუსაბამობით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მომხმარებლები არ აკვირდებიან ნიშნებსა და ინსტრუქციებს.
6. ჩატარებული კვლევის მიხედვით, გლობალური სათამაშოების ინდუსტრიის დომინანტი მოთამაშეთაგან, როგორებიცაა: Mattel, Namco Bandai, Lego, Hasbro და Jakks Pacific, ქართველი მომხმარებლებისათვის (74%) მხოლოდ Lego-ს შესახებ არის ცნობილი.
7. კვლევის მიხედვით, მომხმარებლები საკმაოდ აქტიურად სტუმრობენ სათამაშოების მაღაზიათა ქსელებს. გამოკითხულთა უმრავლესობა პროდუქციის ხარისხითა და ფასებით გამოარჩევს ქართულ მაღაზიას „ჭიტა“. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც მეტი სანდოობისთვის აფთიაქში ყიდულობენ სათამაშოებს, სადაც მათი აზრით, მეტად არის დაცული პროდუქტების უსაფრთხოება.
8. კვლევამ აჩვენა, რომ ინფორმაციას, უახლესი სათამაშოების შესახებ გამოკითხულთა უმრავლესობა (72,5%) ინტერეტიდან იღებს. დღეისათვის, ყველასათვის კარგად არის ცნობილი ინტერნეტის როლი ინფორმაციის გავრცელებისა და მიღების პროცესში. შესაბამისად, მწარმოებლები საკმაოდ აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს და სხვადასხვა ვებ.გვერდებს იმისათვის, რომ მიზნობრივ მომხმარებლებამდე მიიტანონ სიახლე უახლესი პროდუქტების, აქციებისა და ფასდაკლებების შესახებ.

9. კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა დიდი ნაწილი საქართველოში არსებულ საბავშვო მაღაზიათა ქსელების ძირითად მოტივად ასახელებს მოგების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვას. შესაბამისად, რესპონდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ კომპანიები ნაცვლად იმისა, რომ ზრუნავდნენ ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქციის რეალიზაციას, ლოიალური მომხმარებლის ზრდასა და საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვებას, ორიენტირებულნი არიან მოგების გაზრდაზე.
10. საქართველოში სათამაშოების ბაზარზე არც თუ ისე ბევრი მეორადი სათამაშოების მაღაზიაა, რასაც განაპირობებს მომხმარებელთა სპეციფიკურობა. მყიდველი ხშირად სათამაშოს შეძენის დროს ვერ აცნობიერებს პროდუქტის ხარისხს. ამიტომ უპირატესობას ანიჭებს ახალ პროდუქტს, რომლის შემცველობის შესახებ არ ფლობს ინფორმაციას. შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში მეორადი სათამაშოების ბიზნესი არა მომგებიანია, თუმცა აღნიშნულ ბაზარზე ბევრად ხარისხიანი პროდუქტის შეძენაა შესაძლებელი. კვლევამ დაადასტურა, რომ ქართველი მომხმარებლები არ ყიდულობენ მეორად სათამაშოებს (72%) და მეორადი სათამაშოების ბაზრის განვითარების დონესაც ნეიტრალურად აფასებენ (35,9%), რაც გარკვეულწილად დამოკიდებულია მათი ინფორმირებულობის ნაკლებობაზე.
11. კვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა უმეტესობა ფიქრობს, რომ სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისა და მონიტორინგის გაძლიერება ხელს შეუწყობს უსაფრთხო სათამაშოებთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრას. შესაბამისად, გამოკითხულთა უმეტესობა (54,5%) თვლის, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრება აუცილებელია აღნიშნული მიმართულებით პრობლემების გადაჭრისათვის. რესპონდენტთა აზრით, პროდუქციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ჯერ სახელმწიფოს, შემდეგ მწარმოებელ და იმპორტიორ კომპანიებს, საცალოდ მოვაჭრესა და თავად მყიდველსაც, რომელიც მაინც ყიდულობს იმ პროდუქტს, რომლის უსაფრთხოებაშიც არ არის დარწმუნებული.
12. ჩატარებული კვლევის მიხედვით დადგინდა, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე გარკვეულწილად გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების არსებობაზე.

შესაბამისად, უსაფრთხო სათამაშოების წარმოების პერსპექტივა ჯერჯერობით არ არსებობს საქართველოში;

13. კვლევის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა უმრავლესობა წარმოადგენს საშუალო შემოსავლიან ოჯახს, შესაბამისად მათ (54,5%) მიერ შეძენილი ერთეული სათამაშოების ფასი 25-50 ლარის ფარგლებში მერყეობს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას დიდი ალბათობით მოსახლეობის უმეტესობა უფრო დაბალფასიან პროდუქტს ყიდულობს, რომლის ხარისხიც შესაბამისია მის ფასთან და შესაბამისად ბევრად მწვავე და ჯანმრთელობისთვის საშიშ პრობლემებთანაა დაკავშირებული.
14. ჩატარებული კვლევა ადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაბალია, როგორც ზოგადად საბავშვო სათამაშოების ბაზრის შესახებ, ასევე მათ ხარისხთან და იმ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, რომელიც გაუადვილებთ მათ უსაფრთხო პროდუქტის ამოცნობას.
15. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში მარკეტინგული კამპანიების ჩატარებას ადგილობრივ პროდუქციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით. სხვადასხვა მას მედია საშუალებებში ბავშვთა სათამაშოების მოხმარების პოზიტიური და ნეგატიური ასექტების ფართო გაშუქებას .

გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა

1. თოდუა, ნ. უროტაძე.ე. (2012 მარკეტინგული კვლევები, სალექციო კურსი, თსუ);
2. კოტლერი ფ. კელერი.კ. (2016) მე-14 გამოცემის ქართული თარგმანი, ნ. თოდუას რედაქტირობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
3. ჯაში, ჩ. სოციალური მარკეტინგის საფუძვლები(2012) თბილისი, უნივერსალი;
4. Todua, N., and Jashi, C. (2018). Influence of Social Marketing on the Behavior of Georgian Consumers Regarding Healthy Nutrition . Bulletin of the Georgian National Academy of Sciences Vol. 12, No 2, pp. 183-190.
5. Todua N. (2013) Marketing Research of Consumer Loyalty, 6th International Scientific-Practical Conference , Modern Challenges of Education , Gori State University ;
6. The Royal Society for the Prevention of Accidents, March 2001. ("The Toy (Safety) Regulations 1995". Accessed 7 January 2006);
7. "Bush signs bill banning lead from children's toys; toughest standard in the world". Associated Press. 14 August 2008. Retrieved 15 August 2008);
8. People's Daily Online - Toy industry gets improved regulation). <http://en.people.cn/n3/2019/0513/c90000-9577358.html>;
9. Directives 2009/48/EC of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the safety of toys. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:170:0001:0037:en:PDF>;
10. Council Directive of 3 May 1988 on the approximation of the laws of the Member States concerning the safety of toys(88/378/EEC) <http://eurotechcertification.com/docs/ToySafetyDirective.pdf>;
11. Toy Safety Directive 2009/48/EC- An explanatory guidance document <https://law.resource.org/pub/eu/toys/guidance/tsd-rev1-7-explanatory-guidance-document-en.pdf>;
12. Regulation (EC) No 765/2008 of the European Parliament and of the Council of 9 July 2008 setting out the requirements for accreditation and market surveillance relating to the marketing of products and repealing Regulation (EEC) No 339/93 (Text with EEA relevance), Art.<http://eurlex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:218:0030:0047:en:PDF>;
13. Guidance documents from the Expert Group on Toy Safety European Commission, Retrieved 27 September 2012). https://ec.europa.eu/growth/sectors/toys/safety/guidance_en;
14. <https://www.unicef.org> “ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა საქართველოში“, 23 აპრილი 2019;

15. <https://commerciant.ge/ge/post/ganvitarebul-qveynebshi-meoradi-satamashoebismomg-ebiani-biznesi-adgilobrivi-bazarze-wamgebiania> „განვითარებულ ქვეყნებში მეორადი სათამაშოების მომგებიანი ბიზნესი ადგილობრივ ბაზარზე წამგებიანია“, 14 მაისი, 2018 წელი;
16. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=69697; ბასილაია, ე. 24 აპრილი 2019;
17. <https://www.bbc.com/news/science-environment-47868871?fbclid=IwAR1-u2r-gBUdL2TIXLqsXgXXs3f8tjuf25AanPlp4xksw-3f1OGog7IAa4>; ლინდსი ბრაუნი BBC-ის ჟურნალისტი, 11 აპრილი 2019;
18. <https://at.ge/2018/03/25/meoradi-satamashoebi/> „მეორადი სათამაშოების მაღაზიები თბილისში“;
19. <https://www.linkedin.com/company/british-toy-and-hobby-association> ნატამა კრუკსი, British Toy and Hobby Association, 25 მაისი 2019;
20. <https://www.kubiki.ge/ge/blog/lego> „LEGO_კომპანიის გასაოცარი ისტორია“, 15 აგვისტო 2014;
21. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1659419?publication=24> პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი კოდექსი, 25 მაისი 2012 წელი;
22. <http://mediamall.ge/new/48060-sainformacio-kampania--/usaftrkxhosatamasho/gaimar-ta> საინფორმაციო კამპანია უსაფრთხო სათამაშო, 1 ოქტომბერი 2017;
23. <http://www.newposts.ge/?l=G&id=144393> უსაფრთხო სათამაშო - ომბუდსმენის ოფისში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, 24 ივნისი 2017;
24. <http://mediamall.ge/new/48060-sainformacio-kampania--/usaftrkxhosatamasho/gaimar-ta> ;
25. <http://www.ttimes.ge/archives/101217> „რამდენად უსაფრთხოა საბავშვო სათამაშოები?!“ - ანა ურუშაძე, 6 მარტი 2019;
26. <http://netgazeti.ge/news/295469/> „ტყვიით ინტოქსიკაცია – რისკები, შესაძლო სიმპტომები და მკურნალობა“ 25 სექტემბერი 2017
27. <http://www.okiti.ge/> ქართული ხის სათამაშო;
28. <https://www.marketer.ge/okiti-wiflis-satamasho/> „როგორია უსაფრთხო სათამაშო და რატომ შეიქმნა ხის სათამაშოების ქართული კომპანია “OKITI!”“, 19 ოქტომბერი 2017;
29. <http://kids.ge/articles/> „სასარგებლო ინფორმაცია მშობლებისთვის“, ქეთევან ოდიშარია, 21 მაისი 2019;
30. https://www.researchgate.net/publication/318094854_The_Internet_of_Toys_A_Report_on_Media_and_Social_Discourses_around_Young_Children_and_IoTo „ინერნეტ სათამაშოები“, ლისაბონის უნივერსიტეტი, 2017 წელი, ავტორი: რიტა ბრიტო ;

დანართი 1

მარკეტინგული კვლევა: საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულება

მოგესალმებით, მადლობას გიხდით კვლევაში მონაწილეობისთვის! მე ვარ ნაზი გრიშკაშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრატურის სტუდენტი. სამაგისტრო ნაშრომისთვის ვატარებ კვლევას თემაზე: საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოება და მომხმარებელთა დამოკიდებულება. აღნიშნული კვლევის მიზანია გამოავლინოს ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ მომხმარებლების ინფორმირებულობის დონე. ასევე, მნიშვნელოვანია ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა.

გთხოვთ, გაეცნოთ და შეავსოთ ქვემოთ მოცემული კითხვარი.

გაცნობებთ, რომ კვლევა ტარდება არაკომერციული მიზნებისთვის, თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაცული იქნება და მიღებული შედეგები გამოყენებული იქნება მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომისთვის.

A ბლოკი: რესპოდენტთა დამოკიდებულება საბავშვო სათამაშოების მიმართ და მათი ინფორმირებულობის დონის განსაზღვრა;

A1. რა სიხშირით ყიდულობთ საბავშვო სათამაშოებს?

- კვირაში ერთხელ მაინც;
- ორ კვირაში ერთხელ;
- თვეში ერთხელ;
- მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევებისთვის;
- არ ვყიდულობ სათამაშოებს;

A2. თქვენი აზრით, საბავშვო სათამაშოების შექმნის დროს რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები:

	ფასი	ხარისხი	მწარმოებელი ქვეყანა
ძალიან მნიშვნელოვანია			
მნიშვნელოვანია			
ნაკლებად მნიშვნელოვანი			
უმნიშვნელო			
არ ვიცი			

A3. თქვენი აზრით, საბავშვო სათამაშოების რომელი მახასიათებელია ყველაზე მნიშვნელოვანი?

5-ძალიან მნიშვნელოვანი, 1-უმნიშვნელო

	1	2	3	4	5
უსაფრთხოება					
გამძლეობა					
ეკო-მეგობრულობა					
შესახედაობა					
გამძლეობა					

A4. რომელი კატეგორიის სათამაშოების შექმნას ანიჭებთ უპირატესობას?

- ხის სათამაშოებს;
- პლასტმასის სათამაშოებს;
- ელექტრონულ სათამაშოებს;
- (სხვა)

A5. თქვენი აზრით, ბავშვის ჯანმრთელობისთვის რომელი მასალისგან დამზადებული სათამაშოა ნაკლები საფრთხის შემცველი?

- ხე;
- პლასტმასი;
- ქსოვილი;
- (სხვა);

A6. როგორ შეაფასებდით ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების შესახებ თქვენი ინფორმირებულობის დონეს?

1-დაბალი; 5-მაღალი;

1	2	3	4	5

A7. საბავშვო სათამაშოებში არსებული რომელი მავნე ნივთიერებების შესახებ ფლობთ ინფორმაციას?

- ტყვია;
- კადნიუმი;
- ვერცხლისწყალი;
- ნიკელი;
- ფტალატი;
- მიჭირს პასუხის გაცემა;
- (სხვა);

A8. გსმენიათ თუ არა რაიმე CE-ს შესახებ (ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის ნიშანი) ?

- მსმენია;
- არ მსმენია;
- მიჭირს პასუხის გაცემა;

A9. გთხოვთ სკალაზე შეაფასოთ რამდენად მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორები სათამაშოების შექმნის დროს:

	1	2	3	4	5	მიჭირს შეფასება
CE-ნიშანი						
უსაფრთხოების ინსტრუქცია						
გამაფრთხილებელი ნიშანი						

A10. გლობალური სათამაშოების ინდუსტრიის ლიდერებიდან რომელი კომპანიის შესახებ გსმენიათ?

- Mattel;
- Namco Bandai;
- Lego;
- Hasbro;
- Jakks Pacific;
- მიჭირს პასუხის გაცემა;
- (სხვა);

B ბლოკი: საბავშვო სათამაშოების შემენაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა და მომხმარებელთა ყიდვის ქცევის სპეციფიკა;

B1. გყავთ თუ არა შვილი?

**უარყოფითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ გადახვიდეთ B2 შეკითხვაზე*

- დიახ;
- არა;

B1.1 რამდენი შვილი გყავთ?

- ერთი;
- ორი;
- სამი;

- ოთხი და მეტი;

B1.2 დღეში რამდენ საათს უთმობს თქვენი შვილი სათამაშოებით თამაშს?

*საშუალოდ

- 5 საათი და მეტი;
- 4-დან 5 საათამდე;
- 3-დან 4 საათამდე;
- 2-დან 3 საათამდე;
- 1 საათზე ნაკლებ დროს;

B1.3 ყველაზე მეტად, როგორი სახის სათამაშოების მიმართ იჩენს თქვენი შვილი ინტერესს?

- წარმოსახვითი;
- მანიპულაციური (მაგ. პაზლები);
- შემოქმედებითი (მაგ. ასაწყობი კუბები);
- კვლევითი;
- Other:

B1.4 როგორ იქცევით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი შვილის ძველი სათამაშო აღარ გესაჭიროებათ?

- საწყობში ვინახავ;
- გავაჩუქებ;
- ვაგდებ ნაგავსაყრელზე;
- ვყიდი;
- Other:

B2. ძირითადად სად ყიდულობთ საბავშვო სათამაშოებს?

- სათამაშოების მაღაზიათა ქსელის ობიექტში;
- ბაზრობაზე;

- ავთიაქში;
- ინტერნეტში;
- Other:

B3. თქვენი აზრით, არის თუ არა უსაფრთხო ავთიაქში შეძენილი სათამაშო ბავშვის ჯანმრთელობისთვის?

- უსაფრთხოა;
- არ არის უსაფრთხო;
- არ ვიცი;
- მიჭირს პასუხის გაცემა;

B4. საშუალოდ რა თანხის ფარგლებში ყიდულობთ სათამაშოებს?

**ერთეული სათამაშოს ფასი*

- 1-დან 10 ლარამდე;
- 10-დან 25 ლარამდე;
- 25-დან 50 ლარამდე;
- 50 ლარი და მეტი;

B5. რომელ საინფორმაციო საშუალებას ანიჭებთ უპირატესობას, როდესაც გსურთ მიიღოთ ინფორმაცია უახლესი სათამაშოების შესახებ?

- პიროვნების მარკეტინგი (Word of mouth);
- ბეჭდური მედია;
- რადიო;
- ტელევიზია;
- ინტერნეტი;
- Other:

B6. როგორ შეაფასებდით ქართულ ბაზარზე არსებული სათამაშოების უსაფრთხოების ხარისხს?

1-დაბალი; 5-მაღალი

1	2	3	4	5

B7. თქვენი აზრით, არსებობს თუ არა საქართველოში სათამაშოების უსაფრთხოებისა და ბაზრის ზედამხედველობის მექანიზმი?

- არსებობს;
- არ არსებობს;
- მიჭირს პასუხის გაცემა;
- არ ვიცი;

B8. ქართულ ბაზარზე რომელ სათამაშოების მაღაზიათა ქსელს გამოარჩევდით იმპორტირებული პროდუქციის ხარისხის მიხედვით:

- XS TOYS;
- სუპერი;
- პეპელა;
- ჭიტა;
- ცეროდენა;
- Other:

B9. ქართულ ბაზარზე რომელ სათამაშოების მაღაზიათა ქსელს გამოარჩევდით იმპორტირებული პროდუქციის ფასის მიხედვით:

- XS TOYS;
- სუპერი;
- პეპელა;
- ჭიტა;
- ცეროდენა;
- Other:

B10. როგორ შეაფასებდით საქართველოში არსებულ საბავშვო სათამაშოების მაღაზიათა ქსელების ძირითად მოტივებს?

მოგების მაქსიმიზაციისკენ სწრაფვა	1	2	3	4	5
ჯამრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქციის რეალიზაცია					
კომპანიისთვის დადებითი იმიჯის შექმნა					
საზოგადოების კეთილგანწყობის მოპოვება					
მომხმარებელთა ლოიალურობის ზრდა					

B11. გთხოვთ, შეაფასოთ საქართველოში არსებული მეორადი სათამაშოების ბაზრის განვითარების დონე:

1-დაბალი; 5-მაღალი

1	2	3	4	5

B12. საქართველოში არსებული რომელი მეორადი სათამაშოების მაღაზიის შესახებ გსმენიათ?

- პილტონი;
- ნოეს სათამაშოების კიდობანი;
- სკუპი;
- Other:

B13. შეგიძენიათ თუ არა მეორადი სათამაშო?

- დიახ;
- არა;
- მიჭირს პასუხის გაცემა;

B14. გთხოვთ სკალაზე შეაფასოთ საბავშვო სათამაშოების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი ორგანოების/ობიექტების მნიშვნელობა :

5-ძალიან მნიშვნელოვანი, 1-უმნიშვნელო

	1	2	3	4	5
სახელმწიფო					
მწარმოებელი კომპანიები					
იმპორტიორი კომპანიები					
საცალო მოვაჭრეები					
მყიდველი					

B15. თქვენი აზრით, საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან რეგულაციების გამკაცრება სათამაშოების რეალიზაციის პროცესში?

- მნიშვნელოვნად საჭიროა;
- საჭიროა;
- არ არის საჭირო;
- არ ვიცი;
- მიჭირს პასუხის გაცემა;

B16. თქვენი აზრით, ახდენს თუ არა გავლენას საქართველოს ეკონომიკური განვითარების დონე ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობისთვის საშიში სათამაშოების არსებობაზე?

- ნაწილობრივ;
- ძირითად ზეგავლენას ახდენს;
- არ ახდენს გავლენას;
- მიჭირს პასუხის გაცემა;

B17. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ საბავშვო სათამაშოების მაღალი ფასი განაპირობებს პროდუქციის მაღალ ხარისხს?

1-არ ვეთანხმები; 5-სრულიად ვეთანხმები;

1	2	3	4	5

C ბლოკი: რესპოდენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები:

C1. თქვენი ასაკი:

- 15-25;
- 25-35;
- 35-45;
- 45-55;
- 55 და მეტი;

C2. სქესი:

- მდედრობითი;
- მამრობითი;

C3. ოჯახური მდგომარეობა:

- დაოჯახებული;
- დასაოჯახებელი;
- განქორწინებული;
- ქვრივი;
- Other:

C4. თქვენი სოციალური სტატუსი:

- მოსწავლე/სტუდენტი;
- დასაქმებული;
- უმუშევარი;
- დიასახლისი;
- პენსიონერი;
- Other:



C5. დასაქმების სექტორი:

- საჯარო სექტორი;
- კერძო სექტორი;

C6. თქვენი განათლება:

- საშუალო;
- საშუალო პროფესიული;
- უმაღლესი;

C7. თქვენი ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი:

- 500 ლარამდე;
- 500-დან 1000 ლარამდე;
- 1000-დან 2000 ლარამდე;
- 2000 ლარი და მეტი;

1. C8. გთხოვთ მიუთითოთ საკონტაქტო ინფორმაცია (სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი):
